Norwegian Ministry of Foreign Affairs

GCSD

# კომპლექსური დავალებები

## “ერთობლივი ინიციატივა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ”

2020

# კომპლექსური დავალებები

ავტორი:
ბაკურ ხიჯაკაძე

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:
მაკა ბიბილეიშვილი

2020წ.

პროექტი "ერთობლივი ინიციატივა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ" მხარდაჭერილია საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ, პროგრამის "ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების განვითარება" ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. პროექტის მიერ გამოქვეყნებულ ნებისმიერ პუბლიკაციაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც დონორის პოზიცია და მოსაზრება.

# სარჩევი


- გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი.....4
- შეაჩერე ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია.....9
- ინტერვიუ იურისტთან.....11
- გარემოს დაცვა და ექსტრემიზმი.....17
- პროტესტი და რადიკალიზმი.....22
- რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის პროპაგანდა.....27
- განათლება-ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე.....29
- სოციალური გაუცხოება და რადიკალიზაცია.....38
- სპორტი და რადიკალიზმი.....48
- Covid 19 და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია.....52

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; ,,სოციალიზაცია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.1; მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი |

**კომპლექსური დავალების პირობა:**

,,განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე წიგნიერება და ანგარიში. ის მოქალაქეობაცაა. გლობალური განათლების მნიშვნელობაზე კაცობრიობა დიდი ხანია მსჯელობს. არც ქართული აზროვნებისთვისაა ახალი გლობალური მოქალაქის საკითხი. ვაჟა-ფშაველამ ფასდაუდებელი ნააზრევი დაგვიტოვა თავის ნაშრომში-„ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. მიუხედავად ამისა, გლობალიზაციის საკითხს ადამიანები ხშირად ნეგატიურად აღიქვამენ და შესაბამისად, გლობალური მოქალაქეობაც ვერ სარგებლობს მათში ნდობით. თქვენ გადაწყვიტეთ, გამოკივლიოთ გლობალური მოქალაქეობის არსი და დაადგინოთ, რამდენად გაქვთ გლობალური მოქალაქისთვის საჭირო თვისებები და ფასეულობები. ამისათვის, გაეცანით დავალებაში შემოთავაზებულ წყაროებს. ჩამოაყალიბეთ, თუ რა თვისებები და ფასეულობები უნდა გააჩნდეს გლობალურ მოქალაქეს, შეადგინეთ და შეავსეთ გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი.

**გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი უნდა შეიცავდეს:**

- იმ თვისებებისა და ფასეულობების ჩამონათვალს, რომელიც უნდა გააჩნდეს გლობალურ მოქალაქეს.
- უნდა იყოს მონიშნული ის თვისებები და ფასეულობები, რომლებიც თქვენ ამჟამად გაგაჩნიათ.
- დასკვნას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისთვის გლობალურ მოქალაქეს და მის ფასეულობებს.

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცანით მასალას სახელმძღვანელოდან (მე-11 გვერდიდან) და ასევე წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას სტატია - **პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი**. ტექსტების შესაბამისად და თქვენი ხედვით, ჩამოაყალიბეთ გლობალური მოქალაქის არსი, მისი თვისებები და ფასეულობები. შეავსეთ გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი და ანაბეჭდზე მონიშნეთ/გააფერადეთ ის პუნქტები, რომლებიც მიგაჩნიათ რომ თქვენ ამჟამად უკვე გახასიათებთ.
- გლობალური მოქალაქის ანაბეჭდზე მუშობისას, წარმოდგენილი ნიმუში შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი სურვილისამებრ: მოაკლოთ ან დაამატოთ კრიტერიუმები და მათ პუნქტების ოდენობა; შეცვალოთ ფორმა და დიზაინი თქვენი სურვილისამებრ.

## როგორი მოქალაქე სჭირდება თანამედროვე სამყაროს?

როგორი სცენარითაც უნდა წარიმართოს კაცობრიობის მომავალი, ვფიქრობთ, განათლების სფეროს წარმომადგენელთა უმთავრეს ღირებულებად „დედამიწელობის წესების“ სწავლა–სწავლება დარჩება. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ბან კი–მუნი (2012)მიიჩნევს, რომ „ჩვენ გლობალური მოქალაქე უნდა აღვზარდოთ. განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე წიგნიერება და ანგარიში – ის მოქალაქეობაცაა. განათლებამ სრულყოფილად უნდა გაიაზროს თავისი არსებითი როლი – დაეხმაროს ადამიანებს შექმნან უფრო სამართლიანი, მშვიდობიანი და შემწყნარებლური საზოგადოებები“.

გლობალური მოქალაქე ფართოდ აღიქვამს და აცნობიერებს სამყაროს და თავის ადგილს ამ სამყაროში. ის აქტიურად მონაწილეობს თემის ცხოვრებაში და სხვებთან თანამშრომლობს, რათა პლანეტა უფრო თანასწორი, სამართლიანი და მდგრადი გახადოს. მას სამყაროსთან ურთიერთქმედებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და ღირებულებები აქვს და სჯერა, რომ ადამიანებს ცვლილების ძალა შესწევთ.

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის სწავლის სამ სფეროს ეყრდნობა: შემეცნებითს, სოციო–ემოციურს და ქცევითს:

1) კოგნიტური – სამყაროსა და მისი სირთულეების უკეთ გასააზრებლად აუცილებელი ცოდნა და სააზროვნო უნარები;
2) სოციო–ემოციური – ღირებულებები, დამოკიდებულებები და სოციალური უნარები, რაც მოსწავლეს ემოციური, ფსიქოსოციალური და ფიზიკური განვითარების საფუძველს უქმნის და სხვებთან ერთად ატივისცემითა და მშვიდობიანად ცხოვრების საშუალებას აძლევს;
3) ქცევითი – ქცევა, საქმიანობა, პრაქტიკული გამოყენება და ჩართულობა.

სასწავლო პროცესი სწორედ ამ სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.

იუნესკოს მიერ გლობალური მოქალაქეობისთვის შემოთავაზებული განათლების განმარტება, თავის მხრივ, „განათლება 2030 წლისთვის დღის წესრიგსა და მოქმედებათა ჩარჩოში“ მოყვანილ მდგრადი განვითარების მიზნებს ითვალისწინებს: „ყველა მოსწავლეს გააჩნდეს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი აუცილებელი ცოდნა და უნარები. მათ შორის, ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და არაძალადობრივი კულტურის მხარდაჭერის, გლობალური მოქალაქეობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურის წვლილის გაცნობიერების (აღიარების)“.

გლობალურ მოქალაქეობაზე საუბრისას, შესაძლოა გზამკვლევად გამოგვადგეს ჯერ კიდევ მე–20 საუკუნის დასაწყისში ნათქვამი ცნობილი მოსაზრებები სკოლისა და განათლების შესახებ: „მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითშემოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“ (დიმიტრი უზნაძე); „განათლება არ არის ცხოვრებისთვის მზადება, ის თვით ცხოვრებაა. ცხოვრებისეული გამოცდილების უწყვეტი მშენებლობის პროცესია,რომელიც ინდივიდებში გარემოს კონტროლისა და საკუთარი პასუხისმგებლობების შეცნობისთვის აუცილებელ უნარებს ავითარებს“ (ჯ.დიუი).

გლობალური მოქალაქეობისათვის განათლების სარგებელი ერთნაირად მნიშვნელოვანია სკოლისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ის ეხმარება მოსწავლეებს:

- წარმოდგენა შეექმნათ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე;
- დაფიქრდნენ მათთვის მნიშვნელოვან ღირებულებებზე;
- ისწავლონ რეალური სამყაროსაგან;
- დაუპირისპირდნენ უცოდინრობასა და შეუწყნარებლობას;
- გახდნენ ეროვნული და გლობალური საზოგადოების წევრები;
- ჩამოაყალიბონ არგუმენტი და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება;
- სჯეროდეთ, რომ შეუძლიათ მოქმედება და აქვთ გავლენა გარემომცველ სამყაროზე.

გლობალური მოქალაქეობა მასწავლებლებისა და მშობლებისთვისაც შთაგონებისა და ინფორმაციის წყაროა. უმთავრესი კი ის არის,რომ გლობალური მოქალაქეობა ახალგაზრდებს აჩვენებს, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია. ახალგაზრდებს აქვთ პოზიტიური ცვლილების ძალა – მათი დახმარებით ყველასთვის უფრო სამართლიანი, უსაფრთხო და დაცული სამყარო შეიძლება აშენდეს.

რა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სჭირდება გლობალურ მოქალაქეს? შეგვიძლია ეს ცხრილი ერთგვარ ტესტად გამოვიყენოთ და შევაფასოთ, რა ხარისხით ვართ გლობალური მოქალაქეები მასწავლებლები და ჩვენი მოსწავლეები.

## კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად.

მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.
პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული

ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ–საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ…
პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა–გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი.

კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერის კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ–ღონით განვითარდეს.

ცალ–ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.
1905 წ.

# გლობალური მოქალაქის ანაბეჭდი

## განსხვავებულობისადმი დამოკიდებულება

9

10

11

## ცოდნა

12

13

14

15

## პასუხისმგებლობა

5

6

7

8




## მისწრაფება

24

25

26

## უნარები

16

17

18

19

## ფასეულობები

1

2

3

4

## სამშობლოსადმი დამოკიდებულება

20

21

22

23

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; |
| **შედეგები:** | მოქ.საბ.3 |
| **საკითხი:** | შეაჩერე ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია |

## კომპლექსური დავალების პირობა

ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრობლემა კვლავ აქტუალურია საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებისთვის. ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის მხარდამჭერი ინფორმაცია ყოველდღიურად ვრცელდება სხვადასხვა სახის მედიაში. დეზინფორმაციასთან ბრძოლის საუკეთესო გზა ინფორმირებაა. რადიკალური და ექსტრემისტული იდეების გავრცელებასთან საუკეთესო ბრძლის მეთოდი დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეების გავრცელებაა.

რადიკალიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან საინფორმაციო ბრძოლაში თქვენი წვლილის შესატანად მოამზადეთ საინფორმაციო ინფოგრაფიკა.

***პოსტერი უნდა შეიცავდეს:***

- დემოკრატიულ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, ცოდნას და უნარებს;
- სოციალური, კულტურული და პოლიტიკური საზღვრების მიღმა ურთიერთობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერას;
- საქართველოს კონსტიტუციიდან თქვენთვის თემატურად მნიშვნელოვანი ადამიანის უფლების მითითებას

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- პოსტერის დასამზადებლად შეგიძლიათ გაეცნოთ პრაქტიკულ რჩევებს: **პოსტერის შექმნა** ; **როგორ შევქმნათ პოსტერი**;
- პოსტერში წარმოსაჩენი ძირითადი გზავნილების შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ **სახელმძღვანელოს** 33-37 გვერდებზე; სახელმძღვანელოს ამ ნაწილში საუბარია იმ მოქალაქეობრივ და პიროვნულ თვისებების განვითარებაზე, რომლებიც ხელს უშლის რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის განვითარებას. აღნიშნული მასალის გაცნობა დაგეხმარებათ პოსტერში თემატური გზავნილის/იდეის გადმოცემაში.
- დავალებაში მოცემული პირველი ორი პუნქტი შეგიძლიათ წარმოაჩინოთ, როგორც თემატური ტექსტის სახით, ისე ლოზუნგის, მოწოდების ან თემატური შინაარსის ნახატის/ლოგოს მეშვეობით, ან ყველა ზემოთხსენებულის კომბინაციით;
- ადამიანის უფლებებზე, გლობალური მოქალაქის დემოკრატიულ ღირებულებებსა და მრავალფეროვნებაზე ინფორმაცია შეგიძლიათ

იხილოთ **სახემძღვანელოში** ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია, 8-30, 52-62გვერდზე ;

- დემოკრატეულ ღიირებულებებზე, ცოდნასა და უნარებზე ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების **სახელმძღვანელოში** 16-20 გვერდებზე ; აღნიშნული ინფორმაცია გამოგადგებათ დავალების მეორე პუნქტის შესასრულებლად და იმის წარმოსაჩენად თუ რა ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდეს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წევრი მოქალაქე.
- ადამიანის უფლებათა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ **საქართველოს კონსტიტუციის** მეორე თავში ; შეგიძლიათ აარჩიოთ და პოსტერში წარმოაჩინოთ ერთი ან რამდენიმე ადამიანის უფლება, რომელიც შესახებაც საზოგადოების ინფორმირება მიგაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესაჩერებლად.
- პოსტერის ვიზუალისთვის იდეების ჩამოსაყალიბებლად შეგიძლიათ ეწვიოთ **ვებსაიტს** .
- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ დამუშავებული და შექმნილი ნაშრომი პოსტერის ერთ გვერდზე არ დაეტევა, შეგიძლიათ განათავსოთ რამდენიმე გვერდზე.
- ელექტრონული სახით პოსტერის დასამზადებლად შეიძლიათ გამოიყენოთ www.canva.com .

| | |
|---|---|
| სამიზნე ცსანება: | „დემოკრატია“ |
| **შედეგები:** | მოქ.საბ.3; მოქ.საბ.4; მოქ.საბ.13 |
| **საკითხი:** | ინტერვიუ იურისტთან |

## კომპლექსური დავალების პირობა:

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის დანაშაულებრივი გამოვლინება საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი საკმაოდ კომპლექსური და მრავალი სოციალური თუ იურიდიული საკითხის მომცველია, რომელთა შესახებაც ზუსტი ინფორმაციის მიღება მხოლოდ დარგის ექსპერტებისგან შეიძლება.

წარმოიდგინეთ, რომ ხართ იურისტი სისხლის სამართლის მიმართულებით და ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიგიწვიეს როგორც სამართლის ექსპერტი. გადაცემის ფარგლებში თქვენ მოგიწევთ განმარტებების გაკეთება ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე (ამ დავალების შესასრულებლად დაგჭირდებათ თანაკლასელის დახმარება, რათა გადაცემის წამყვანის/ინტერვიუერის როლი მოირგოს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხერხდა ინტერვიუს დადგმა, დაწერეთ მოხსენება, სადაც განმარტავთ დავალებაში მოცემულ საკითხებს). სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ინტერვიუ და გაავრცელოთ სკოლის თემში.

**წამყვანთან ერთად მოახდინეთ ტელეგადაცემის/ინტერვიუს ინსცენირება, რომლის დროსაც ხაზგასმით წარმოაჩინეთ**:

- ქართულ რეალობაში რა სახის დანაშაულებებში ვლინდება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ნიშნები. ძირითადად ადამიანის რომელი უფლებების შეზღუდვის დათრგუნვისკენაა მიმართული რადიკალური და ექსტრემისტული ქმედებები;
- როგორია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესაძლო შემცველი დანაშაულებების მიმართ;
- რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფო კანონმდებლობას ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესაძლო შემცველი დანაშაულებების გამოძიებისას;
- როგორ შეუძლია მოქალაქეს წვლილის შეტანა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის გავრცელების შემცირებაში.

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- იმისთვის, რომ ინტერვიუ სწორად დაგეგმოთ, მნიშვნელოვანი კითხვებით და დასაბუთებული სამართლებრივი პასუხებით, აუცილებელია, გაეცნოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ მომზადებული **ნაშრომის დასკვნას** ⬇. აღნიშნული ნაშრომის ნაწილი, რომელიც ადაპტირებული სახით გაქვთ მოცემული, შეიცავს თქვენი დავალებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან პასუხებს.

ნაშრომში მუქი შრიფტით გამოყოფილია ის მონაკვეთები, რომლებშიც ზუსტად არის მითითებული დავალების შესაბამისი საკითხები. თქვენ უნდა დაამუშავოთ ეს საკითხები და მათი მიხედვით შეიმუშავოთ როგორც კითხვები, ისე- პასუხები ინტერვიუსთვის.

- კვლევაში საუბარია ოთხი სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულზე (თითოეული მათგანი აღნიშნულია გამუქებული შრიფტით). ააწყვეთ ინტერვიუსთვის კითხვა-პასუხი ისე, რომ გამოიკვეთოს საქართველოში რა სახის დანაშაულებში ვლინდება ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის ნიშნები.

- კვლევაში შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: რა შემთხვევებში ისჯება სიძულვილის ენის გამოყენება; ანიჭებს თუ არა მნიშვნელობას სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენისას დისკრიმინაციულ მოტივებს (რასიის, კანის ფერის, პოლიტიკური შეხედულებების და ა.შ მიხედვით)?; რასიზმთან დაკავშირებული დანაშაულების განხილვისას რომელ ორ კრიტერიუმს აქცევს სასამართლო ყურადღებას; რა სახის ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს ისეთი დანაშაულებების გამოძიებისას, რომლებშიც შესაძლებელია იკვეთებოდეს დისკრიმინაციული მოტივები და სიძულვილის ენის ტირაჟირება. ყოველივე ეს ინფორმაცია გამოყოფილია გამუქებული შრიფტით და შესაბამისად, ადვილი მისაგნებია. მოიძიეთ აღნიშნული საკითხები კვლევაში. დაამუშავეთ ისე, რომ საინტერესო კითხვა-პასუხის ინსცენირება აეწყოს ინტერვიუსთვის.

- კვლევაში გარდა გამუქებული შრიფტით მოცემული საკითხებისა, შეგიძლიათ ნახოთ არაერთი საინტერესო დასკვნა, შეფასება, ქართული რეალობის ანალიზი დავალებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ ინტერვიუს გამრავალფეროვნებისთვის.

- დავალების ბოლო პუნქტზე - როგორ შეუძლია მოქალაქეს წვლილი შეიტანოს ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის გავრცელების შემცირებაში, კვლევაში მხოლოდ მცირედი მოცულობით არის ინფორმაცია ბოლო დასკვნით აბზაცში. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ როგორც კვლევის გამოყენებით, ისე თქვენი ინტერპრეტაციით გასცეთ ამ კითხვას პასუხი.

## კვლევა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით, ქვეყანაში თანასწორობის უფლების დაცვა კვლავ გამოწვევად რჩება.

არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები ხშირია. ამასთან, თითქმის ყოველდღიურად გვესმის სიძულვილის ენა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ. როგორც წესი, აღნიშნულ ჯგუფებში

ძირითადად, შედიან განსხვავებული რასის, კანის ფერის, ეროვნების, ეთნიკურობის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები. საქართველოში არსებულ სიძულვილის ენაში ძირითადად, მოიაზრება რასისტული, ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ნაციონალისტური და სხვა სახის გამოვლინებები. შესაბამისად, ხშირია ძალადობისკენ და დისკრიმინაციისკენ მოწოდების ფაქტები, ზოგადი ხასიათის იქნება იგი თუ მიმართული კონკრეტული ადრესატისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაადგინა სიძულვილის ენის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ქმნის მყისიერი, შეუქცევადი და აშკარა ძალადობის მუქარას. კერძოდ, 2015 წელს სსკ–ს დაემატა 2391 მუხლი, რომლითაც დასჯადი გახდა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება `რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად, ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება თუ ეს ქმნის ძლადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს~. ნორმის დისპოზიციიდან ჩანს, რომ დანაშაული დამთავრებულია არა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯარო მოწოდების მომენტიდან, არამედ მაშინ, თუ ამ მოწოდებამ გამოიწვია კონკრეტული საფრთხე. კერძოდ, შექმნა ძალადობრივი ქმედების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. შესაბამისად, სიძულვილის ენაზე per se გამოძიება არ ტარდება.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს ბრალდებულის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსი დისკრიმინაციას განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ახდენს მის კრიმინალიზაციას.

კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ბოლო წლებში გამოვლენილი რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა, რაც ძირითადად, განპირობებულია ქვეყანაში მომრავლებული და გააქტიურებული ნეონაცისტური ჯგუფებით, რომლებიც გამოირჩევიან აგრესიულობით, სიძულვილის ენით, ძალადობრივი მოწოდებებითა და ცალკეულ შემთხვევებში, უცხოელებზე თავდასხმებით. ზოგადად, სასამართლოებში რასობრივი შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების განხილვის დაბალი სტატისტიკა არსებობს, რაც შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ გამოძიება საერთოდ არ იწყება, წყდება ან დაწყების შემთხვევაში, წარიმართება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებშიც რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა არ ჩანს. ამასთან, ხშირად უცხოელები თავს არიდებენ მათ მიმართ განხორციელებულ სამართლებრივ დარღვევებზე პოლიციისათვის მიმართვას, რაც გამომდინარეობს უნდობლობით, შიშით, სამართლებრივი მექანიზმების არცოდნით და ზოგ შემთხვევაში, ენობრივი ბარიერითაც.

რასიზმთან დაკავშირებულ საქმეებს საერთო სასამართლოები იხილავენ ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით. ძირითადად, მათი კვლევის საგანი ხდება: 1) ბრალდებულები მოტივირებულები იყვნენ თუ არა რასობრივი შუღლით _ აღნიშნული მიდგომა ნიშნავს დამტკიცდეს, რომ პირებს არ ამოძრავებდათ სუბიექტური ანუ პირადი მიდგომა; 2) დანაშაულებრივმა ქმედებამ არსებითად ხელყო თუ არა პოტენციური დაზარალებულის უფლება, რაც შეფასებითი ცნებაა და მხედველობაშია მისაღები ქმედების ჩადენის ადგილი, ვითარება, მისი ინტენსივობა და ხანგრძლივობა. ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ტიპის საქმეებში დამნაშავე პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ერთი შეხედვით, არ იძლეოდეს დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას და ქმედების მონაწილე მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არ აფასებდეს, როგორც სწორედ დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას, თუმცა აღნიშნულ შეფასებაში დიდწილად, სწორედ მსხვერპლის პერცეფციაზე (აღქმაზე) მოდის, რადგან ადამიანის დამცირებისას, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, რაც თავის მხრივ, დაზარალებულის ფსიქიკიდან გამომდინარე სხვაგვარად ხელყოფს მის უფლებას.

გარდა ამისა, მეორე ინსტანციის სასამართლომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ეხებოდა ულტრანაციონალისტური მოძრაობების მიერ მარჯანიშვილის გამზირზე ჩატარებული მარშის დროს გამოვლენილი ძალადობის, აგრესიის, დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს, ხაზგასმით მიუთითა სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებზე და განმარატა, რომ `იმ სისხლის სამართლის სამართლის საქმეებში, სადაც შესაძლებელია იკვეთებოდეს დისკრიმინაციული მოტივები და სიძულვილის ენის ტირაჟირება, სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა, გამოძიება არ იყოს ზერელე, არასაკმარისი, არ შემოიფარგლებოდეს მტკიცებულებების მოჩვენებითი სიმრავლით და არსებობდეს რეალური ინტერესი ეფექტიანი გამოძიებისა და ნამდვილი დამნაშავეების სათანადო დასჯისა~.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოში კვლავ აქტუალურია რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმის შემთხვევები. კერძოდ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ყველა დანაშაული მიმართული იყო იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ. იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებული აგრესია ძირითადად, გამოიხატება სტენდების დაზიანებასა და რელიგიური ლიტერატურის განადგურებაში. ამასთან, აღნიშნულ ქმედებებს თან ახლდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესწავლილი საქმეების მიხედვით, აგრესია როგორც წესი, საჯარო სივრცეში ვლინდება და იეჰოვას მოწმეებს უმეტესად ქუჩაში მსახურობის დროს უსწორდებიან კერძოდ, რელიგიური ლიტერატურისა და ბუკლეტების გავრცელების დროს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თემი ყველაზე აქტიურად ეწევა პროზელიტიზმურ საქმიანობას და სწორედ ამიტომ ყველაზე ხშირად განიცდის დისკრიმინაციულ, ძალადობრივ და წინასწარ განწყობებზე დაფუძნებულ ნეგატიურ დამოკიდებილებებს.

იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილმა სამართალდარღვევების ანალიზმა ცხადყო, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში, საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის

სასამართლოებს ერთი განაჩენი აქვთ მიღებული სსკ-ის 155-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ოთხი _ სსკ-ის 156-ე მუხლის საფუძველზე. ყველა აღნიშნულ საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი გარკვეულ შემთხვევებში, მიუთითებს იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გარკვეულ ლოიალურ დამოკიდებულებაზე, რამაც შესაძლოა გაზარდოს რეციდივის ალბათობა.

კვლევის ფარგლებში, საერთო სასამართლოებიდან მიღებული განაჩენების მიხედვით, მხოლოდ ერთ საქმეში ფიგურირებდა ადამიანის დევნა _ სიტყვის, აზრის გამო და მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულებისთვის მიუღებელი იყო ჟურნალისტების მიერ შექმნილი გადაცემები რელიგიურ თემებზე, მათ მიერ გამოხატული აზრი და შეხედულებები მართმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში. აღნიშნულ საქმეში სასამართლო დეტალურად შეეხო, როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ისე ყველა იმ სადავო შეფასებას, რომლებიც ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ იქნა გაჟღერებული სასამართლო სხდომაზე. სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედება სიღრმისეულად განმარტა სამართლებრივ ჭრილში.

საქართველოში, ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმებია. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა გამომძიებელთა ცნობიერება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების შესახებ და შესაბამისად, დაიხვეწა გამოძიების პროცესში მოტივის იდენტიფიკაციის ტექნიკა, რამაც პირდაპირპროპორციულად გააუმჯობესა სასამართლოების მიერ სსკ-ის 531 მუხლის გამოყენების მაჩვენებელი, რომლის გამოყენების დაბალი პრაქტიკა წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო.

დაბოლოს, საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, ისე საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ მომზადებული ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია.

ქვეყანაში არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ არაერთი შემთხვევა არსებობს ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობისა, დაწყებული ინდივიდებზე თავდასხმებით საჯარო ადგილებში და ზოგჯერ მათ სახლებშიც კი, დამთავრებული ლგბტქ ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენით.

ფაქტია, საქართველოში ჰომოფობიური განწყობების ხარისხი შემაშფოთებლად მაღალია. საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ლგბტ+ ჯგუფის წარმომადგენლების უფლებებისთვის ბრძოლა ქართული ეროვნული ღირებულებების პირდაპირ და ძირითად წინააღმდეგობად და დასავლური გარყვნილების ქართველი ხალხისთვის თავსმოხვევის მცდელობად განისაზღვრება და ძირითადად, ლგბტ+ აქტივიზმი `ჰომოსექსუალობის

პროპაგანდად მიიჩნევა. შესაბამისად, ლგბტ+ ადამიანები საქართველოში არიან ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ანგარიშის მომზადების პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებების მიხედვით, მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ძირითადად, ვლინდება ოჯახში და საჯარო სივრცეში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციისა და სოციალური გარიყვის სახით. ამასთან, შესწავლილი საქმეების მიხედვით, ხშირია ლგბტ+ პირებზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის ფაქტები. ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოებაში იმ გარეგნობით თუ სოციალური როლით ჩნდებიან,რომელიც მათ ბიოლოგიურ სქესს არ შეესაბამება.

გარდა ამისა, პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემს მიკუთვნებული ბავშვების უფლებები არსებითად ირღვევა ოჯახის წევრების მხრიდან. როგორც წესი, მშობლების მხრიდან ძალადობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ისინი შეიტყობენ არასრულწლოვნის რეალურ ან ნავარაუდევი ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ, ან თუ ჩნდება ეჭვი ბავშვის ქცევაში, რომელიც არ შეესაბამება სოციალურად ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს. დანაშაულები, რომელთაც ლგბტ+ ჯგუფის წევრები ოჯახის წევრების მხრიდან ექვემდებარებიან, მათი ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ გენდერული გამოხატვის გამო, წარმოადგენს შეუწყნარებლობით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მუდმივად უნდა იგმობოდეს ძალადობა. სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები სიძულვილის გამოხატვისა და უმცირესობების მიმართ შუღლის გამწვავებისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ, მაგრამ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით უნდა გაუმჯობესდეს უმცირესობების ნდობა, რომ სახელმწიფოს აქვს უნარი დაიცვას ისინი ძალადობრივი ქმედებებისგან.

წყარო: 🔗 (75-80გვ).

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; ,მსამოქალაქო თანამონაწილეობა“ |
| **შედეგები:** | მოქ.საბ.3,9 |
| **საკითხი:** | გარემოს დაცვა და ექსტრემიზმი |

**კომპლექსური დავალების პირობა:**

ბუნებრივი გარემოს დაცვა და შენარჩუნება დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად შრომობს სხვადასხვა სახის აქციებისა და  კამპანიების ჩატარებით, ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებასა და ბუნების დაცვას, თუმცა, რიგ შემთხვევებში. ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა დაჯგუფებების ქმედებებს გარემოს დასაცავად მძიმე შედეგები მოჰყვება.

საქართველოში გარემოს დაცვის საკითხები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. თქვენ გადაწყვიტეთ, მოირგოთ ჟურნალისტის როლი და ჩაატაროთ ჟურნალისტური გამოძიება მსოფლიოში არსებულ ეკოაქტივისთა რადიკალური მეთოდების შესახებ და ასევე, შეისწავლოთ საქართველოში არსებული სიტუაცია, თუ რამდენად დგას ჩვენს ქვეყანაში ეკოაქტივისტების რადიკალური ქმედებებით ზიანის მიღების საშიშროება. შეისწავლეთ მსოფლიოში არსებული პრაქტიკა ეკოაქტივიზმთან დაკავშირებით და გაეცანით ქართულ პრაქტიკასაც, რის შემდეგაც დაწერეთ სტატია/გააკეთეთ სიუჟეტი, რომელშიც ასახავთ თქვენი ჟურნალისტური გამოძიების შედეგებს.

**სტატიაში/სიუჟეტში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

- რა შემთხვევაში იღებს სამოქალაქო აქტივიზმი რადიკალურ ფორმებს.
- სამოქალაქო აქტივიზმით კანონიერი გზებით მიზნის მისაღწევად რა საშუალებები და ბერკეტები არსებობს.

ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მიზნის მიღწევაში საერთო (მსოფლიო და ქართული) პრაქტიკიდან გამომდინარე, აქტივიზმის  რადიკალური ფორმა მეტად ეფექტურია, თუ კანონიერი ფორმა.

**პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:**

- გაეცანით **„ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია, მასწავლებლის გზამკვლევი“** (10-11 გვერდები) და იმსჯელე, როდის ხდება აქტივიზმი რადიკალური ხასიათის. წაიკითხეთ სტატია ELF-ის და ALF-ის შესახებ. იმსჯელეთ, რა მიზნები ამოძრავებთ ამ ორგანიზაციებს, რამდენად გლობალურია მათი საქმიანობა, რა მეთოდებს იყენებენ თავიანთი მიზნების მიღწევაში და არის თუ არა მათი საქმიანობა ზიანის მომტანი.

- **გზამკვლევის** მე-11 გვერდზე  მოცემულმა რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია სტატიებში დასახელებული ორგანიზაციების რადიკალური ქმედებები.
- გაეცანით სტატიებს **სვანეთსა** და **ამაზონის ტყის ტომებზე** . იმსჯელეთ სამოქალაქოო აქტივიზმის რადიკალური მიდგომების საპირისპიროდ, რომელი კანონიერი ბერკეტებით შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა.
- შეადარეთ სვანეთის სამოქალაქო აქტივიზმი და ამაზონის ტყის მცველი ტომის აქტივობა მსოფლიოს გათავისუფლების ფრონტის მეთოდებს. დასკვნის სახით წარმოადგინე მსჯელობა: რომელი მათგანია (კანონიერი თუ რადიკალური) უფრო ეფექტური და გრძელვადიანი შედეგების მომტანი.

## დედამიწის გათავისუფლების ფრონტი  და ცხოველთა გათავისუფლების ფრონტი

დედამიწის გათავისუფლების ფრონტ ELF-სა და მის მოძმე ორგანიზაციას, ცხოველთა გათავისუფლების ფრონტ  ALF-ს, პასუხისმგებლობა ეკისრება 1996-2002 წლებში 600-მდე დანაშაულის მოწყობასა და 43 მილიონი დოლარის ზიანის მიყენებაში. დედამიწის გათავისუფლების ფრონტი  ლიდერის გარეშე არსებული ორგანიზაციაა, რომელიც ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს მიზნების მიღწევს.  დედამიწის გათავისუფლების ფრონტს არ გაქვს გამოკვეთილი ორგანიზაციული სტრუქტურა მისი წევრები ინდივიდუალურად მოქმედებენ და ამიტომ, რთულია მათი შემჩნევა და მათ მოქმედებების აღკვეთა. დედამიწის გათავისუფლების ფრონტის მიზანია ინდუსტრიული განვითარების შეჩერება ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მიზნით. ამ ორგანიზაციის დევიზია -,,ჩვენ გვსურს ბევრი ადამიანი ხედავდეს, არ გვსურს ბევრი ადამიანის სიკვდილი". ორგანიზაცია თავს ესხმის ქონებას და არა ადამიანებს, ის ხშირად იყენებს დანაშაულებრივ მიდგომებს - ხანძარს, ვანდალიზმს, სხვადასხვა სახის დივერსიებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური ზიანის მიყენებისკენ. ამ ორგანიზაციის სამიზნეები ხშირად ხდებიან კვლევითი ლაბორატორიები, მულტი-ნაციონალური კორპორაციები და ხე-ტყის ინდუსტრია.

1996 წლის 19 ოქტომბერს, დედამიწის გათავისუფლების ფრონტის წევრება გადაწვეს კოლორადოს შტატში ერთ-ერთი უდიდეს სათხილამურო კურორტი ვეილი. ხანძრებისგან მიყენებულმა ზარალმა 12 მილიონ დოლარამდე მიაღწია. დედამიწის გათავისუფლების ფრონტის წამომადგენლებმა აღნიშნული ქმედება ახსნეს იმით, რომ ვეილის კურორტი ისედაც ყველაზე დიდი სათხილამურო კურორტია ჩრდილოეთ ამერიკაში, მისი გაფართოებისთვის დაგეგმილი სამუშაოებით 19 კილომეტრიანი გზის დასაგებად განადგურდება ტყის საფარი, რომელიც საუკეთესოა ფოცხვერებისთვის საცხოვრებლად. ბუნებრივ გარემოსა და ფაუნაზე წინ ეკონომიკური მოგების დაყენებას არ შეეგუება დედამიწის გათავისუფლების ფრონტი.

ვეილის კურორტი ხანძრის დროს

კურორტი დღეის მდგომარეობით

## ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა და მოსახლეობის პროტესტი სვანეთში

სვანეთში გარემოსდაცვით საკითხებზე და უშუალოდ ჰესების მშენებლობის მიმართ წინააღმდეგობის უნიკალური გამოცდილება არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან იწყება და ხუდონ ჰესის მშენებლობას უკავშირდება. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, სვანეთში ჰესების საწინააღმდეგო მოძრაობის ამ წინააღმდეგობის განახლებაც ასევე ხუდონ ჰესის პროექტის გაცოცხლებას უკავშირდება. პროექტების მასშტაბურობის ზრდასთან ერთად, ასევე იზრდება წინააღმდეგობის ტალღები და მეთოდები. საკმაოდ მრავალფეროვანია ის ინსტრუმენტები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თუ აქტივისტები კონკრეტული პროექტების განხორციელების წინააღმდეგ იყენებენ. ეს შეიძლება იყოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი დავების წარმოება, ტრადიციული ინსტრუმენტებით კოლექტიური წინააღმდეგობის ორგანიზება და ერთობის შენარჩუნება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა და ა.შ

ჰესების წინააღმდეგობის პროცესში უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პროტესტი, რომელიც უშუალოდ სვანეთში თუ პოლიტიკურ ცენტრში საპროტესტო აქციების ორგანიზებაში გამოიხატება. ასევე, აქტიურად გვხვდება ადვოკატირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა პეტიცია და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება. მაგალითად, გვხვდება ლალხორის მანიფესტი სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარებისა და ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონების მოთხოვნით. 163 დაახლოებით 100 000 ადამიანი აწერს ხელს პეტიციას ნენსკრა ჰესის შეჩერების მოთხოვნით, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არის მიმართული. 164 ყველაზე გავრცელებულ წინააღმდეგობის ფორმას კი, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ საპროტესტო აქციების გამართვა წარმოადგენს, რომელიც არაერთხელ გამართულა სვანეთში დაგეგმილი სხვადასხვა ჰიდროელექტორსადგურის, მათ შორის ნენსკრა ჰესისა და ხუდონ ჰესის საწინააღმდეგოდ. ჰიდროენერგეტიკული პროექტების მიმართ პროტესტის გამოხატვის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობა ასევე აქტიურად იყენებს სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმებს, რაშიც მათ ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან. აღნიშნული დავები მიმდინარეობს როგორც ადგილობრივი სასამართლოების, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შიდა გასაჩივრების მექანიზმების გამოყენებით. ადგილობრივი მოსახლეობის სახელით, ამჟამად დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში ნენსკრა ჰესის პროექტთან დაკავშირებით. წარდგენილი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ნენსკრა ჰესის განახლებული პროექტი, მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დოკუმენტის – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) მომზადების ვალდებულებისგან გათავისუფლდა. ამ გადაწყვეტილებით, პროექტში არსებითი ხასიათის ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებების მიუხედავად, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი საფრთხეების შესაფასებლად საკმარისად ჩაითვალა 2015 წელს მომზადებული გზშ–ს ანგარიში. 159 სასამართლო დავის პარალელურად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისა და ორგანიზაციების CEE Bankwatch–ის და მწვანე

ალტერნატივის სახელით, რამდენიმე საჩივარია წარდგენილი სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შიდა გასაჩივრების მექანიზმებში ნენსკრა ჰესის პროექტთან დაკავშირებით 160, რომლებიც სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის არასათანადო გამოკვლევასა და პროექტთან დაკავშირებით არსებულ სხვა საკითხებს შეეხება. ნენკრა ჰესთან მიმართებით საჩივარი წარდგენილი ასევე ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნის კონვენცია) ფარგლებშიც, რომელიც სვანეთი 1-ის, როგორც ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნისთვის, ნენსკრა ჰესის მშენებლობის შედეგად სავარაუდო ზიანს შეეხებოდა. 161 ასევე, ნენსკრა ჰესთან დაკავშირებით CEE Bankwatch-ის მიერ საჩივარი წარდგენილია ევროპის ომბუდსმენთან, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, მათი მოთხოვნის მიუხედავად, გარკვეული ინფორმაციის, მათ შორის სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით კვლევის თაობაზე ინფორმაციის არგასაჯაროების თაობაზე. 162 მითითებული დავების დიდი ნაწილი მიმდინარეა და დღეის მდგომარეობით, მათზე კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.

წყარო: 🔗 48-52 გვ.

## როგორ გადაარჩინა ამაზონის ტყე მცირერიცხოვანმა ტომმა ნავთობკომპანიის აშენებისგან

უახლესი ცნობებით, ბრაზილიის ტერიტორიაზე არსებული ამაზონის ტყე საფრთხეშია. როგორც ცნობილია, ამაზონის ტყე ცეცხლისა და ზოგადად ცხელი კლიმატისადმი საკმაოდ გამძლეა – აქ არსებული ნოტიო ჰავა ხელს უწყობს ტყეს, მსგავსი საფრთხეები მალევე დათრგუნოს. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამაზონის ტყეში ხშირად ფიქსირდება გვალვები, ასევე, ადამიანის საქმიანობის შედეგად ხშირია ტყის ჩეხა – სწორედ ამ ყველაფერმა მიიყვანა ტყე იქამდე, რა მდგომარეობაშიც ახლაა.
ამაზონის ტყე წლებია, მრავალი კომპანიის სამიზნე ტერიტორიას წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ აქ საკმაოდ ბევრი ნავთობია დაგროვილი. თუმცა, ნავთობის მოპოვება (ბურღვა) ტყეს მნიშვნელოვნად დააზიანებს. რეალურად, ეკვადორში არსებული ამაზონის მიწების აუქციონზე გატანა და გაყიდვა 2012 წელს შეწყდა ხელშეკრულებით, თუმცა, 2019 წლის მაისში, რატომღაც ეს ხელშეკრულება დაირღვა და ტყე ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა. ვაორანის ტომმა მრავალ ორგანიზაციასთან ბრძოლისა და სამ საფეხურიანი სასამართლო პანელის შემდეგ, ეს ბრძოლა მოიგო და ტყე ხელუხლებელი დარჩა.

ტომმა მილიონნახევარი აკრი მიწა დაიცვა. სწორედ ამ მოგებას მოჰყვა ისიც, რომ სასამართლომ გააუქმა ამაზონის სხვა მიწების აუქციონზე გატანის ყველა შესაძლო შემთხვევა, რის შედეგადაც დღეს 7 მილიონ აკრზე მეტი მიწა საფრთხის ქვეშ აღარ არის.
„მთავრობამ სცადა ჩვენი ნებართვის გარეშე ჩვენი მიწები ნავთობკომპანიებისთვის მიეყიდა. ჩვენი ტყე კი ჩვენი ცხოვრებაა. სასამართლოებმა აღიარეს, რომ ვაორანის ხალხსა და ყველა სხვა ძირძველ ტომს აქვს უფლება, დაიცვას თავისი ტერიტორია. არ გვგონია, რომ მთავრობის ინტერესები ნავთობში იმაზე უფრო ღირებულია, ვიდრე ჩვენი უფლებები, ჩვენი ტყეები და ჩვენი ცხოვრება..” – განაცხადეს ვაორანის ტომის წარმომადგენლებმა.
წყარო: 🔗

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | **პროტესტი და რადიკალიზმი** |

## კომპლექსური დავალების პირობა:

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება გამოირჩევა მრავალფეროვნებით, აზრთა სხვადასხვაობით და განსხვავებული იდეოლოგიებით. აზრთა სხვადასხვაობა ხშირად დაპირისპირების მიზეზი ხდება. დემოკრატიული გადაწყვეტილების და კონსესუსის მიღების პროცესი ითვალისწინებს განსხვავებული იდეების შეპირისპირებას დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა სახის მოლაპარაკებების სახით, თუმცა, ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც უფლებების დაცვისა და იდეებისთვის ბრძოლისთვის ერთადერთი გზა სახალხო პროტესტი და მანიფესტაცია რჩება.

არსებობს მოსაზრება, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, თუმცა, დემოკრატიულ სახელმწიფოში უპირველესი მიზანი ადამიანი და მისი უფლებების დაცვაა, შესაბამისად, არსებობს პრინციპები და შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინებაც ყველასთვის საფალდებულოა.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ სახალხო დამცველის წარმომადგენელი, შეისწავლეთ კომპლექსური დავალების ფარგლებში მოცემული წყაროები და მოამზადეთ მოხსენება თემაზე –„ პროტესტი და რადიკალიზმი“.

**მოხსენებაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

- რა შემთხვევაში იღებს პროტესტი/მანიფესტაცია რადიკალურ ფორმებს. რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საპროტესტო აქციის დროს შეკრების და მანიფესტაციების უფლება და გამოხატვის თავისუფლება;
- კანონმდებლობით დადგენილი რა წესები უნდა დაიცვან პროტესტის მონაწილეებმა, რომ არ შეიზღუდოს მათი გამოხატვის თავისუფლება და თავიდან აიცილონ რადიკალური, დამაზიანებელი შედეგები;

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცანით კომპლექსურ დავალებაში წარმოდგენილ სტატიებს ( 1,2,3 ) ⬇ და იმსჯელეთ, რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს საჯარო შეკრებამ, პროტესტმა, და მანიფესტაციამ რადიკალური ხასიათი. პროტესტში მონაწილეთა რა სახის ქმედებები განაპირობებს პროტესტის/მანიფესტაციის რადიკალური ფორმების მიღებას.

- გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს ↓ და იმსჯელეთ, საქართველოში ვის შეუძლია შეკრებებში, აქციებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობა. რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს შეკრების უფლება სახელმწიფოს მიერ;

- გაეცანით შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონს ↓ (5, 11, 13, 14, 15 მუხლები) და ჩამოაყალიბეთ ის წესები და მოთხოვნები, რომლებიც შეკრების/პროტესის/მანიფესტაციის მონაწილეებმა უნდა დაიცვან, რათა თავიდან აირიდონ რადიკალური ფორმების მიღება და შეკრების უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ.

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გაცნობისა და სჯელობის შემდეგ, დასკვნის სახით დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია, დემოკრატიულ საზოგადოებაში პროტესტის/მანიფესტაციის ფორმით მოქმედებისას მიზანი ყოველთვის ამართლებს თუ არა საშუალებას.

## სტატია1. ამერიკაში საპროტესტო აქციები გრძელდება - სამი მსხვერპლია მინიაპოლისში ↑

შეერთებულ შტატებში მიმდინარე აქციას სამი ადამიანი ემსხვერპლა. ინციდენტი მინეაპოლისის შტატში მოხდა. დაძაბულია მდგომარეობა ნიუ იორკისა და ატლანტას შტატებში, სადაც აქციები დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს.
მომიტინგეებმა რამდენიმე შტატში ათობით შენობა დაწვეს. გაძარცვეს და დაარბიეს ტექნიკისა და სასურსათო მაღაზიები. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა რამდენიმე შტატში, 25 ქალაქში კი კომენდანტის საათი მოქმედებს.
მინეაპოლისში საპროტესტო აქციაზე მაღალი სიჩქარით მოძრავი სატვირთო ავტომობილი ხალხის მასაში შეიჭრა. აქციის მონაწილეებმა მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ხელისუფლების პოზიცია გააპროტესტეს თეთრ სახლთანაც. ამერიკული მედიის ინფომაციით თეთრი სახლის დაცვამ დონალდ ტრამპი სამალავში ჩაიყვანა, სადაც პრეზიდენტმა 40 წუთი გაატარა. 12 შტატში კი ეროვნული გვარდიის 5000-ზე მეტი წევრია მობილიზებული. პოლიციამ აქციის 300 -ზე მეტი მონაწილე, მათ შორის დააკავა ნიუ იორკის მერის ქალიშვილი. ნიუ იორკის მერი მკაცრად აკრიტიკებს ტრამპის პოლიტიკას.
.....
ამერიკაში მიმდინარე აქციებს მხარდაჭერა ბრიტანეთში, ახალ ზელანდიასა და გერმანიაში გამოუცხადეს, სადაც ასობით ადამიანმა 46 წლის ჯორჯ ფლოიდის რასისტულ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა გააპროტესტა.
ახალი აქციები ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა დიდ ქალაქებში დაანონსებულია და ჯერჯერობით უცნობია, რა სახეს მიიღებს საპროტესტო აქციები.

წყარო: 🔗

## სტატია 2. ლონდონელებმა უინსტონ ჩერჩილის ქანდაკება დააზიანეს

ლონდონელებმა უინსტონ ჩერჩილის ქანდაკება დააზიანეს. ანტირასისტული აქციის მონაწილეებმა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მემორიალზე „რასისტი" დააწერეს, თავად ქანდაკება კი სხვადასხვა საპროტესტო ბანერით გააფორმეს.
ლონდონში, კვირას გამართული საპროტესტო აქცია დაკავებებით დასრულდა. ქალაქ ბრისტოლში კი ანტირასისტული აქციის ფარგლებში შეკრებილებმა მე-17 საუკუნეში, ტყვეებით მოვაჭრე ედუარდ კოლსტონის ქანდაკება ჩამოაგდეს და მდინარეში გადააგდეს.

წყარო:

## სტატია 3. ქართული მარშის“ წევრებმა „რუსთავი 2“-ის შენობასთან ჟურნალისტებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

სამაუწყებლო კომპანი „რუსთავი2“-ის შენობასთან შეკრებილმა „ქართული მარშის“ წევრებმა, ალყაში მოაქციეს მანქანა რომლითაც გიორგი გაბუნია და ტელეკომპანიის იურისტი, თამთა მურადაშვილი გადაადგილდებოდნენ და უკანონოდ აღუკვეთეს მათ თავისუფლება. შეკრებილებმა დააზიანეს ავტომობილი რომელშიც გაბუნია და მურადაშვილი იმყოფებოდნენ.
თავდასხმა მოხდა „კურიერის“ ჟურნალისტ დავით ერაძეზე. ადგილზე იმყოფება სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დაშავებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.
სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი2”-ის ჟურნალისტებზე „ქართული მარშის“ წევრების მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, კომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია განცხადებას 18:00 საათზე გააკეთებს.

წყარო:

## საქართველოს კონსტიტუცია

### მუხლი 21. შეკრების თავისუფლება

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.
2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.
3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო

## საქართველოს კანონი შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ

### მუხლი 5

1. ამ კანონით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისგან ან მანიფესტაციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის სავალდებულოა რწმუნებულის/რწმუნებულების მიერ სათანადო გაფრთხილების შეტანა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილის მიხედვით. გაფრთხილებას ხელს აწერენ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელი პირები.
3 . შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი.

### მუხლი 11

1. დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებ ისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.
2. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ:
ა)იქონიონ ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი;
ბ) იქონიონ ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;
გ) იქონიონ ცრემლმდენი, ნერვულ–პარალიტიკური მოქმედების ან/ და მომწამვლელი ნივთიერება;
დ) იქონიონ ალკოჰოლიანი სასმელები;
ე )განზრახ შექმნან დაბრკოლებები ტრანსპორტის გადაადგილებისა თვის, მათ შორის, დაარღვიონ ამ კანონის 111 მუხლის მოთხოვნები .
3. დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის მიმდინარეობისას ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული ან/და სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა–ნაგებობის, ძეგლის, მემორიალის ბლოკირება, ვიზუალური მხარის დამახინჯება, დაზიანება ან/და სხვაგვარი ხელყოფა.

**მუხლი 13**

1. ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა მასობრივად დარღვევის შემთხვევაში შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე. შეკრების ან მანიფესტაციის არშეწყვეტის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები შეკრების ან მანიფესტაციის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.
2. ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა არამასობრივად დარღვევის, ასევე ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ უფლებამოსილი წარმომადგენლის გაფრთხილებიდან უახლოესი 15 წუთის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია დარღვევის აღმოსაფხვრელად მოუწოდოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას.
3. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევის ან/და ამ კანონის 111 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გაფრთხილებიდან უახლოესი 15 წუთის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია მოუწოდოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას, რათა გაიხსნას ტრანსპორტის სავალი ნაწილი ან/და აღდგეს ტრანსპორტის მოძრაობა.
4. თუ ორგანიზატორმა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი დარღვევების აღმოსაფხვრელად გაფრთხილებიდან უახლოესი 15 წუთის განმავლობაში არ მოუწოდა შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და არ მიმართა ყველა გონივრულ ქმედებას, მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
5. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის მიერ ამ კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნათა ინდივიდუალურად დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

**მუხლი 14** მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**მუხლი 15** შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას სახელმწიფოსათვის, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 16** ამ კანონით დადგენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დამრღვევ პირებს ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; ,,სოციალიზაცია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.1; მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის პროპაგანდა |

**კომპლექსური დავალების პირობა:**

აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს, FBI-ის ვებსაიტზე, მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით, მოცემულია საინფორმაციო ცნობარი ძალადობრივი ექსტრემისტული დაჯგუფების და ზოგადად ექსტრემიზმის შესახებ. ამ ცნობარში, ასევე მოცემულია შემდეგი შინაარსის განცხადება: ,,ადამიანებს აქვთ მრავალი გზა, რომ გამოხატონ თავიანთ დამოკიდებულებები და ხელი შეუწყონ მშვიდობიან ცვლილებებს, მაგრამ რადიკალური ექსტრემიზმი იყენებს ძალადობას სხვადასხვა ჯგუფების, მმართველობისა და უდანაშაულო ადამიანების მიმართ, რათა წინ წამოწიონ თავიანთი შეხედულებები. მოძალადე ექსტრემისტები მიიჩნევენ, რომ მათი მიზნები სამართლიანი და ჭეშმარიტია, თუმცა მათი შეხედულებები და მოქმედებები შესაძლოა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული იყოს.

**ნუ იქნები მარიონეტი. გააცნობიერე, რომ მოძალადე ექსტრემიზმს არ აქვს შენი საუკეთესო ინტერესების მიღწევის სურვილი, მას სურს, რომ შეგიტყუოს თავისი ბრძანებების და მიზნების შესასრულებლად. ნუ იქნები მარიონეტი და ჩამოსხენი ფარდა ძალადობრივ ექსტრემიზმს.“**

ქართულ რეალობაში საგამოძიებო ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო რესურსებში ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ მოქალაქეთათვის რეკომენდაციების პოვნა ძალიან რთულია. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ შექმნათ საინფორმაციო ცნობარი ბროშურის ან power point პრეზენტაციის სახით - ,,ჩამოხსენი ფარდა ძალადობრივ ექსტრემიზმს“, რომელშიც ასახავთ ძალადობრივი ექსტრემიზმის გავლენის დამყარების ხერხებს და მათთვის წინააღმდეგობის გაწევის მეთოდებსა და მნიშვნელობას.

***<u>ბროშურაში / პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>***

- რა საფრთხეებს შეიცავს ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის;
- საქართველოს მაგალითზე, რა სახის გავლენის მოხდენას ცდილობს საზოგადოებაზე ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის მომხრე ორგანიზაციები; რა ხერხების იყენებენ ისინი მიზნების მიღწევისთვის;
- კანონმდებლობის მიხედვით რა შემთხვევაშია პროპაგანდისტული ხასიათის გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული;
- როგორ შეგვიძლია გავუწიოთ წინააღმდეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდას;

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცანით **ინფორმაციას** (1-4 გვერდი) 🔗 ექსტრემისტული და რადიკალური ორგანიზაციების შესახებ. იმსჯელე რა მიზნები ამოძრავებთ მათ, ვინ არის მათი სამიზნე ჯგუფი, რა რისკებს და საფრთხეებს შეიცავს მათი აქტივობა დღესდღეობით საქართველოში.
- გაეცანით **სოციალური მედიის მონიტორინგი შედეგებს** 🔗. იმსჯელეთ, რა გავლენის მოხდენას ცდილობს ულტრამემარჯვენე რადიკალური ორგანიზაციები საზოგადოებას სოციალური მედიის და სხვა წყაროების გამოყენებით, რა ხერხებს მიმართავენ ისინი ამ გავლენების მოსახდებად. არგუმენტირებისთვის გამოიყენეთ რამდენიმე კონკრეტული არგუმენტი კვლევიდან. ასევე რადიკალიზაციის საფრთხეებზე მსჯელობის საილუსტრაციოდ შესაძლოა გამოგადგეთ მითების დეტექტორის **სტატია**🔗 პროპაგანდის მხილების შესახებ.
- გაეცანით **კანონს** 🔗სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (მე-9, მემე-13, მე-14, მე-16 მუხლები). იმსკელე რა შემთხვევაში იზღუდება გამოხატვის თავისუფლება და რა დროს ეკისრება ინფორმაციის გამავრცელებელს სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- წაიკითხეთ **სტატია** 🔗მედია შინაარსის კრიტიკულად გააზრების შესახებ. აღნიშნული სტატია დაგეხმარებათ რომ შეიმუშაოთ რჩევები, თუ როგორ უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა ექსტრემისტული და რადიკალური ხასიათის პროპაგანდას.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | **განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე.** |

## კომპლექსური დავალების პირობა:

მოაწყვეთ სკოლაში კვირეული თემაზე – სკოლა, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე. კვირეულის ფარგლებში მოამზადეთ თქვენთვის სასურველი ფორმით (სტატია, პლაკატი, ესე, პრეზენტაცია, წერილი, პოსტერი და ა.შ) ნაშრომი, რომელშიც ასახული იქნება სკოლის როლი ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან ბრძოლაში. კვირეულის ფარგლებში მოაწყვეთ ნაშრომების გამოფენა, პრეზენტაცია და გაცნობა სკოლის თემისთვის.

**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

- დაცული და უზრუნველყოფილი სასკოლო განათლების უფლება, როგორც პიროვნების უსაფრთხო და თავისუფალი განვითარების გარანტი.
- სკოლის როლი ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადკალიზაციასთან ბრძოლაში.

## პრაქტიკული რჩევები კვირეულის ფარგლებში ნაშრომებზე მუშაობისთვის:

- გაეცანით **სტატიას სკოლის დანიშნულების შესახებ** ⬇ რომელშიც ჩანს თუ რა როლი აკისრია სკოლას სრულფასოვანი და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული სტატიის გაცნობა დაგეხმარებათ ჩამოაყალიბოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში უზრუნველყოფილი განათლების უფლება.
- **მალალას** 🔗 და **შაბანას** 🔗 (ეს ვიდეორგოლი ინგლისურ ენაზეა თუმცა CC-დან სუბტიტრების ქართულ ენაზე გადაყვანა შესაძლებელია და ასევე, ქართულ ენაზე ვიდეოს სრული ტექსტის ნახვაც) ისტორიები დაგანახებთ რატომ ებრძვის ძალადობრივი ექსტრემიზმი განათლების საყოველთაო უფლებას? რა საშიშროებას წარმოადგენს სკოლა და განათლება ექსტრემიზმისთვის?
- **სალამის** ⬇ და **ჰალსტის** ⬇ ისტორიები დაგეხმარება გაიაზრო რა გავლენა აქვს საზოგადოებაზე ერთი მასწავლებლის წინააღმდეგობას რადიკალიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ.

- სახელმძღვანელო **ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია** 🔗 40-47-ე გვერდებზე არსებული მასალა გაგაცნობთ:

რა როლი აკისრია სკოლას ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლაში. რა ფუნქციები აქვს სკოლას და რა მითითებები უნდა გაითვალისწინოს, რათა თავიდან აიცილოს ძალადობრივი ექსტრემიზმი.

სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვან როლს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის კუთხით.

რამდენად შეუძლია სკოლას, რომელშიც პოზიტიური, ტოლერანტული, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა, ხელი შეუშალოს იმ მიზეზების განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში რადიკალიზაციას.

## პლატფორმა „სალამ“ ჰამიდის მხარდასაჭერად: მთავარი გზავნილები და გეგმები

„სალამ, ჩვენ მოვედით, მოვედით, რათა გავაჟღეროთ ჩვენი საზოგადოების და თემის საკითხები, მოვედით, რათა ვიბრძოლოთ უსამართლობის წინააღმდეგ. მოვდივართ, რათა გავაპროტესტოთ ნაადრევი ქორწინება და გოგონების ძალით მოტაცება. მოვედით, რათა მხარი დავუჭიროთ ჩვენს მასწავლებლებს, ექიმებს, მეცნიერებს, ინჟინრებს. მოვდივართ, რათა დავიცვათ ჩვენი ისტორია და კულტურა. ჰამიდ, შენ მარტო არ ხარ... ნუ ეხები მასწავლებელს, სათქმელი თუ გაქვს, მე მითხარი, მე ჰამიდი ვარ, ჩვენც ჰამიდი ვართ“.
ასეთი იყო მხარდამჭერთა მთავარი გზავნილი, რომელიც კამპანია „სალამ“-ის მონაწილეებმა ვიდეომიმართვით გააცნეს საზოგადოებას. კამპანია „სალამ“ ფეისბუქზე 22 ოქტომბერს დარეგისტრირდა და საერთო ღირებულებების მქონე ახალგაზრდები ერთი მიზნისთვის გააერთიანა - იბრძოლონ ყველანაირი უსამართლობის წინააღმდეგ და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჰამიდ სადიკოვს, რომელსაც ვიდეომიმართვის მონაწილეები მხარდაჭერას უცხადებენ, **„ლიბერალის“ მკითხველი უკვე იცნობს**. ჰამიდი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოს საჯარო სკოლის გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. იგი საზოგადოებამ 12 ოქტომბერს გაიცნო, როდესაც მან თავისი ყოფილი მოსწავლე გოგონას მოტაცების ფაქტი ფეისბუქსტატუსით გააპროტესტა, როგორც მავნე პრაქტიკა და თემის უხუცესები მანკიერი პრაქტიკის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ახალგაზრდა მასწავლებლის სტატუსი გამოქვეყნებიდან მალევე წაიშალა, ხოლო გეოგრაფიის მასწავლებელი მოტაცებული გოგონას თანასოფლელებმა სკოლიდან სოფელ თაზაქენდის ცენტრში იძულებით გაიყვანეს, ბოდიში მოახდევინეს და ბოდიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მობილურით გადაიღეს. მოგვიანებით, მასწავლებლის დისკრედიტაციის მიზნით, თაზაქენდის მცხოვრებლებმა ვიდეო ადგილობრივ მოსახლეობაში გაავრცელეს.

25 წლის ჰამიდ სადიკოვი ორი წელია, რაც კალინინოს სკოლაში ასწავლის. მას მოსწონს თავისი სამუშაო გარემო და მოსწავლეებთან ურთიერთობა. ჰამიდი მათ ხშირად ესაუბრება საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებზე, მასწავლებლის მთავარ დანიშნულებად კი თავისუფალი აზროვნების განვითარება მიაჩნია.
პლატფორმა „სალამ"-ის წარმომადგენლები - რაშან ზიადალიევი, ნაშირ ორდუხანოვი, აინურ ალიევა, ბენიამინ კაზიმოვი „ლიბერალს" პლატფორმის სამომავლო გეგმებსა და კონცეფციაზე უყვებიან.
საზოგადოებისთვის „სალამ"-ის პირველი და მთავარი გზავნილი ჰამიდ სადიკოვის მხარდაჭერა იყო. კიდევ რის შესახებ ისაუბრებთ პლატფორმის საშუალებით?

**რაშან ზიადალიევი, მარნეულიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სტუდენტი:**

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ „სალამ" არ იყოს ერთჯერადი კამპანია და არ იქცეს მხოლოდ კონკრეტულად ქვემო ქართლისთვის შექმნილ პლატფორმად. ჩვენ გვსურს „სალამ" თავისი შინაარსით იყოს მრავალფეროვანი პლატფორმა და საუბრობდეს საქართველოში არსებულ პრობლემებზე, რაც ერთნაირად გვაწუხებს ეთნიკურ უმცირესობებს თუ უმრავლესობას ჩვენს ქვეყანაში. „სალამ" ჩართული იქნება იმ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც აფერხებს ჩვენი საზოგადოების განვითარებას. არსებობს ასეთი სტერეოტიპები, რომ ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა არ იციან სახელმწიფო ენა, არ არიან ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესახებ და ა.შ. ამ კამპანიით გვინდა ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ ვართ ახალგაზრდები, რომლებიც ვმსჯელობთ მწვანე პოლიტიკაზე, ოკუპაციაზე, საზოგადოების პრობლემებზე, მართლმსაჯულების სიტემაში არსებულ პრობლემებზე, არჩევნებზე, ადრეულ ქორწინებაზე, ოჯახში ძალადობაზე, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციაზე და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ეს კამპანია შედეგს გამოიღებს და სხვა ახალგაზრდებისთვისაც მოტივაცია გახდება საიმისოდ, რომ უფრო ხმამაღლა თქვან თავიანთი სათქმელი".

**ნაშირ ორდუხანოვი, ბოლნისიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სტუდენტი:**

„ჩვენს თემში ბევრი არ არის ჰამიდის მსგავსი ახალგაზრდა, რომელიც ადრეული ქორწინების თემას გააპროტესტებს, არსებული პრობლემების შესახებ ხმას ამოიღებს, რადგან მათ იციან, რომ ჰამიდის მსგავსად დააბულინგებენ. ჩვენ პლატფორმის საშუალებით გვსურს ამ პრობლემებზე ხმამაღლა ვისაუბროთ. ჰამიდის მიმართ ჩვენი მხარდაჭერა ასევე ნიშნავს ყველა იმ ახალგაზრდის მხარდაჭერას, რომლებიც ცდილობენ დაუპირისპირდნენ უსამართლობას და გარკვეული საკითხები დადებითისკენ შეცვალონ ჩვენს საზოგადოებაში. გვსურს, ჩვენი გოგონები იყვნენ უფრო განათლებულები, მიიღონ უმაღლესი განათლება, ისწავლონ ქართული ენა და საკუთარ თემში ცვლილებების გამოწვევები გახდნენ. ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნები, რატომ არის მავნე პრაქტიკა ამომრჩევლის მოსყიდვა, ვისაუბრებთ იმის შესახებაც, რატომ არის საზიანო ადრეულ ასაკში ქორწინება, რატომ არის მოტაცება ცუდი და ა.შ. გვსურს საზოგადოებას გავაგებინოთ, რომ არც რელიგიურად და არც კულტურულად ადრეული ქორწინება არ არის ჩვენი ტრადიცია, იგი 90-იანი წლების მავნე

გადმონაშთია. ყველაზე მთავარი კი, რაც გვსურს ვუთხრათ საზოგადოებას, ის არის, რომ ჩვენ, ეთნიკური აზერბაიჯანელები, საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ და ჩვენც ვზრუნავთ საქართველოზე“.

**აინურ ალიევა, გარდაბნიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სტუდენტი:**

„ჰამიდმა სიმამაცის მაგალითი გვაჩვენა ყველას და წაგვაქეზა, ხმამაღლა ვილაპარაკოთ ყველა პრობლემაზე, რაც ხდება ქვემო ქართლში და მთლიანად საქართველოში. პლატფორმის ძირითადი მიზანიც ეს არის, რომ გლობალურ პრობლემებზე უფრო აქტიურად ვისაუბროთ. ვფიქრობ, ჰამიდის მხარდაჭერით მარტო ჰამიდს არ ვეხმარებით; თუ დღეს ხმამაღლა არ ვიმსჯელებთ ამ საკითხზე – გოგონების მოტაცებაზე, ხვალ შეიძლება იგივე შეემთხვეს ჩვენს შვილს ან ჩვენს დას, ახლობელს, მეგობარს და ა.შ. ამ მიზნების განხორციელების გზაზე ერთ-ერთ მთავარ შესაძლელობას კი განათლებაში ვხედავ“.

**ბენიამინ კაზიმოვი, პლატფორმის წევრი:**

„ჰამიდ სადიკოვის „ქეისი“ გახდა მაპროვოცირებელი, რომ ერთ ჭერქვეშ მოგვეყარა თავი საერთო ღირებულებების მქონე ადამიანებს და, შესაბამისად, ორგანიზებულად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი აზრი ამ შემთხვევაზე. ჰამიდმა კონკრეტული აზრი გამოთქვა იმ მანკიერ პრაქტიკაზე, რის შესახებაც ხშირად გვესმის – ეს არის გოგონების მოტაცება ქორწინების მიზნით და თავისი მწვავე და სამართლიანი განცხადების გამო, ტრადიციებს ამოფარებული ხალხის მსხვერპლი გახდა. რატომღაც ჰგონიათ, რომ გოგონების მოტაცება დაქორწინების მიზნით ეს ჩვენი, ეთნიკური აზერბაიჯანელების კულტურისა და ტრადიციების ნაწილია, მაგრამ ასე არ არის. ეს 90-იანებში ჩამოყალიბებული მავნე ტრადიციის გადმონაშთია, რაც იმ დროს საქართველოს ყველა რეგიონში ხდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენთანაც ვერ მოხერხდა ამ მემკვიდრეობით გადმოცემული მავნე ჩვევისთვის გვერდის ავლა. ეს ბევრი მიზეზის გამო მოხდა: ენობრივი ბარიერი, ჩაკეტილობა, ცენტრთან ნაკლები ინტეგრაცია, განათლების დაბალი დონე, სტერეოტიპები და ა.შ. ფაქტი ისაა, რომ ცენტრი არ იცნობს რეგიონს და რეგიონი არ იცნობს ცენტრს. რეგიონი ვერ უერთდება საერთო პროგრესს და ვერ ახერხებს სრულფასოვან ინტეგრაციას მასში“.

წყარო: 🔗

**იოჰან ვან ჰალსტი, ჰოლანდიური რელიგიური სკოლის დირექტორი, რომელმაც გადაარჩინა ასობით ებრაელი ბავშვი ჰოლოკოსტის დროს, შემდეგ კი სენატორი გახდა, გარდაიცვალა 107 წლის ასაკში, წერს CNN ნიდერლანდების სენატის მითითებით.**

ჰალსტი იყო კოლეჯის დირექტორი, რომლის ეზოს ესაზღვრებოდა ცენტრი, სადაც ებრაელი ბავშვები დააკავეს, სანამ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნებდნენ. მან ბავშვები გალავანზე გადაათრია და სკოლაში დაიმალა, შემდეგ კი უსაფრთხო ადგილებში გაგზავნა.

"უბრალოდ წარმოიდგინეთ 80, 90, შესაძლოა 70 ან 100 ბავშვი და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ვინ წაიყვანოთ თქვენთან ერთად. ეს ყველაზე რთული რამ იყო ", – იხსენებს ჰულსტი 1943 წლის პერიოდზე.

"თქვენ გესმით, რომ ყველა ბავშვის აღება არ შეგიძლიათ. თქვენ იცით, რომ შვილები, რომლებსაც უკან დატოვებთ, მოკვდებიან. თორმეტი ბავშვი ავიყვანე. მოგვიანებით ჩემს თავს ვკითხე, რატომ არა ცამეტი? "– თქვა მან.

ომი დასრულების შემდეგ, ჰალესტი გახდა ქრისტიან–დემოკრატიული სააპელაციო პარტიის წევრი, შემდეგ კი სენატორი.

ისრაელში იად ვასემის მემორიალი და ჰოლოკოსტის მემორიალი მუზეუმმა პატივი მიაგო ჰალსტონს, როგორც ერს შორის მართალთა ტიტულს – ტიტული არა ებრაელებისთვის, რომლებმაც სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენეს ჰოლოკოსტის დროს ებრაელთა გადასარჩენად.

"მთელ ებრაელ ხალხს ახსოვს ვან ჰალსტი ჰოლოკოსტის დროს ებრაელების გადასარჩენად გაბედული მცდელობებისთვის", – თქვა იად ვაშემის სპიკერმა სიმმი ალენმა.

## სკოლა და თემი

მოზარდის სრულფასოვან პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში სკოლას გადამწყვეტი როლი აკისრია და ამაზე საზოგადოება კარგა ხანია შეთანხმდა. საინტერესოა, რა როლს ასრულებს სკოლა თავის ირგვლივ არსებული გარემოსა და ადგილობრივი თემის განვითარებაში, ეკისრება თუ არა რაიმე პასუხისმგებლობა ან შეუძლია თუ არა გავლენის მოხდენა თემში მიმდინარე პროცესებზე.

ამ საკითხის უკეთ გაგებისთვის, უპირველესად, შევთანხმდეთ, რას გულისხმობს თემი. აქ ამ ცნებით იგულისხმება სკოლის ირგვლივ მცხოვრები (სოფელი, ქალაქის რაიონი და ა.შ) განსხვავებული შესაძლებლობების, ეთნიკური წარმომავლობის, სქესისა და სხვა მახასიათებლების მქონე ისეთი ადამიანების ერთობა, რომლებიც აქტიურად არიან დაკავშირებული მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებულ სკოლასთან. ისევე როგორც ყველა სკოლა, თემიც ინდივიდუალურია და ქმნის ადგილობრივი გარემოსთვის დამახასიათებელ მიკროკლიმატს. მაგალითად, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება დიდი ქალაქებისა და პატარა სოფლების თემები. განსხვავებულია მათი ღირებულებათა სისტემა, მსოფლმხედველობა და გარემო, რომელშიც მის წევრებს უწევთ არსებობა. შესაბამისად, სკოლა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას – იზრუნოს არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე, არამედ გაითვალისწინოს და უპასუხოს თავის ირგვლივ მცცხოვრებ ადამიანთა ერთობის ინტერესებსაც.

მოსწავლეთა განვითარებაში სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია. იგი ქმნის უნიკალურ და თვითმყოფად გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს, ვითარდება, უყალიბდება ღირებულებათა სისტემა და სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ვინაიდან სკოლა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, მასზე არსებითად აისახება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. როგორც ჯონ დიუი აღნიშნავს, სკოლა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ინსტიტუტია. ვინაიდან განათლება სოციალურ პროცესს წარმოადგენს, სკოლა უბრალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, სადაც ყველა ის საშუალება იყრის თავს, რომელიც კი ბავშვს ყველაზე ეფექტური გზებით შეაძლებინებს კაცობრიობის მიერ დანატოვარი რესურსის ათვისებას და საკუთარი ძალების საზოგადო მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას მისცემს. შესაბამისად, სასკოლო ცხოვრება მოზარდისთვის შინ, სამეზობლოსა თუ სათამაშო მოედანზე ცხოვრების ერთგვარი რეპეტიციაა.

დღეს საქართველოში ქალაქისა და სოფლის სკოლებს განსხვავებული რეალობა აქვთ. სოფლის თემის საჭიროებები სკოლათა უმრავლესობისთვის კარგადაა ცნობილი. უფრო რთულია ქალაქის სკოლების მდგომარეობა. მიგრაციის პროცესის გამო თემის მიკროკლიმატი დროის განსაზღვრულ პერიოდში შესაძლოა არსებითად შეიცვალოს და სასკოლო საზოგადოებასაც გაუჭირდეს პროცესებისთვის თვალის მიდევნება. მნიშვნელოვანია სკოლებში ვიზიტების განხორციელება არა მხოლოდ შესამოწმებლად და

სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად, არამედ ადგილობრივი გარემოსა და კლიმატის შესასწავლადაც, რადგან რეგიონში ყველა სკოლის რეალობა სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა მოთხოვნები აქვს თემსაც. კონკრეტული კვლევის გარეშე რთულია იმის განსაზღვრა, მუშაობს თუ არა სკოლა ადგილობრივი თემის განვითარებაზე, პასუხობს თუ არა მათ საჭიროებებს. თუმცა ვიცით კონკრეტული მაგალითები – სკოლები, რომლებიც საკუთარი თემის საჭიროებებს მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს ქმნიან.

ევროპის მრავალ ქვეყანას კარგად აქვს გაცნობიერებული სკოლის უდიდესი მნიშვნელობა ადილობრივი თემის განვითარებაში. შვეიცარიის სოფლებში სკოლები კულტურული ცენტრის დანიშნულებასაც ასრულებენ. სკოლის ბიბლიოთეკაში იმართება სოფლის კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, პრეზენტაციები, შეხვედრები. გერმანიაში არსებობს მთელი სასკოლო ქსელი, რომლის მიზანია სხვა სკოლებთან დამეგობრება სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწისა და თემის განვითარების მიზნით. ინგლისში სკოლის წარმატების შეფასების ინდიკატორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სკოლის კავშირს თემთან, მშობლებთან, სხვა სკოლებთან, დამსაქმებლებსა და საზოგადოებასთან.

დღეს სკოლებში სათემო და თემისგარე პროექტებით უმთავრესად სამოქალაქო განათლების დისციპლინაა დაკავებული. თემში პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული აქტივობებით მოსწავლეები მხოლოდ კვლევის, პროექტის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელ უნარებს კი არ იძენენ, არამედ იყალიბებენ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით გათვალისწინებულ ღირებულებებსაც.

სათემო და თემისგარე პროექტების განხორციელების საინტერესო გამოცდილება აქვს ველისციხის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელს ნანა ნიკოლაშვილს. ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ საგნის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ განხორციელებული აქტივობები მიმართულია ადგილობრივი და რეგიონული თემის განვითარებისკენ. ველისციხის საჯარო სკოლის მოსწავლეები მრავალ საინტერესო ღონისძიებას უწევენ ორგანიზებას. რეგიონული პროექტების ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, მათ გამართეს მასშტაბური აქცია, რომლის მიზანი იყო ქალაქ გურჯაანში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვება და გატანა. რაც შეეხება ადგილობრივი თემის განვითარებას, მოსწავლეებმა ორგანიზება გაუწიეს სოფელში საზაფხულო სკოლის დაარსებას, რათა სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს საშუალება ჰქონოდათ, ზაფხულის არდადეგები ნაყოფიერად და ხალისიანად გაეტარებინათ მეგობრებთან ერთად. როგორც პედაგოგი აღნიშნავს, ეს იყო ემპათიისა და ერთმანეთზე ზრუნვის გამოხატულება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ასეთ პროექტს ფინანსური მხარდაჭერაც სჭირდება, რასაც უმთავრესად ადგილობრივი თვითმმართველობა ან საერთაშორისო პროექტები უზრუნველყოფენ.

განათლების გზით საზოგადოებას შეუძლია საკუთარი მიზნების ფორმულირება და, ამის კვალობაზე, საკუთარი კურსის ზუსტად და გონივრულად განსაზღვრა იმ მიმართულებით, საითაც სურს მოძრაობა. ვინაიდან სკოლა თემის ორგანული ნაწილია, მათი ურთიერთგავლენა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე ორმხრივი უნდა იყოს. არ შეიძლება, მხოლოდ სასკოლო საზოგადოებას დავაკისროთ ცალმხრივი პასუხისმგებლობა

და ვალდებულებები. მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა თემმაც გაიაზროს სკოლის როლი მის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წყარო:🔗

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; ,,სოციალიზაცია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.1; მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | **სოციალური გაუცხოება და რადიკალიზაცია** |

## კომპლექსური დავალების პირობა:

სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ფარგლებში თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობაზე. თქვენ გადაწყვიტეთ, პანკისის ხეობის მაგალითზე შეისწავლოთ თუ რა კავშირშია საზოგადოების ინფორმირების დონე რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პობლემებთან.

სასკოლო თემის გამოკითხვისა და ინტერვიუების გაცნობის გზით, შეისწავლეთ საზოგადოების ინფორმირების დონე პანკისის ხეობის შესახებ. დაწერეთ წერილობითი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეებს შეიცავს სტერეოტიპებით და არაინფორმულობით გამოწვეული სოციალური გარიყვა რადიკალიზაციის ხელშეწყობაში და როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან დამაზიანებელი შედეგები.

***<u>წერილობით მოხსენებაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>***

- საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და პოზიტიური ინფორმაციის ნაკლებობობა, როგორც რადიკალიზაციის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები.

ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზებით შეიძლება საზოგადოებრივი გაუცხოების შემცირება და ამ მხრივ რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების შემცირება.

## პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

**<u>დავალების პირობის სესრულებისთვის ეტაპობრივად მიყევით ინსტრუქციას</u>**

- გაეცანით <u>ბლოგს</u> 🡻 და <u>სტატიას</u> 🡻პანკისის ხეობაზე და დაფიქრდით, რამდენად არსებობს პანკისის ხეობაში რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების გაღვივების საფრთხე. მსჯელობისას გამოიყენეთ ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის <u>სახელმძღვანელოს</u> 🔗34-36-ე გვერდებზე სოციალურ და განმზიდველ ფაქტორებზე მოცემული ინფორმაცია. ასევე, იმსჯელეთ დემოკრატიული კომპეტენციების სარეკომენდაციო <u>ჩარჩოში</u> 🔗 მოცემულ საკითხებზე. 191-195-ე გვერდებზე არის ინფორმაცია რადიკალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებზე (ყურადღება გაამახვილეთ სოციალური გაუცხოების, პოზიტიური მაგალითების ნაკლებობის და ალტერნატიული ხედვების არარსებობის, უკმაყოფილებისა და უსამართლობის საკითხებზე).
- ჩაატარეთ გამოკითხვა კლასში/სასკოლო საზოგადოებაში. შეეცადეთ, მოიპოვოთ ინფორმაცია კლასელებისგან/სკოლის თემის

წარმომადგენლებისგან იმის შესახებ, თუ რა სმენიათ პანკისის ხეობაზე; რა ასოციაციები უჩნდებათ პანკისის ხეობაზე; ოდესმე შეხვედრიან თუ არა ვინმეს პანკისის ხეობიდან; სამი ნეგატიური და სამი პოზიტიური ფაქტი პანკისის ხეობაზე. პასუხების მიღების შემდეგ, მიღებული შედეგებზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რამდენად რეალურია ის უკმაყოფილება, რაც პანკისის ხეობის წარმომადგენლებს ჰქონდათ ზემოთ განხიულ ბლოგსა და სტატიაში.

- გაეცანით ინტერვიუს ⬇ და ვიდეო რეპორტაჟს 🔗 , შემდეგ შეიმუშავეთ თქვენი ხედვა იმასთან დაკავშირებით თუ რა გზებით შეიძლება პანკისის ხეობის შესახებ საზოგადოებრივი გაუცხოების შემცირება და ამ მხრივ პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.
- გააცანით თქვენი მოხსენება კლასს/სკოლის თემს. უჩვენეთ თვქენ მიერ მოგროვილი მასალები და ერთად იმსჯელეთ თქვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობასა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობაზე.

## "პანკისი - ხეობა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს"

რა სასიამოვნოდ ისმის წინადადება – ,,პანკისის ხეობას თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს", თუმცა ყველაზე საინტერესო და ტრაგიკული იწყება მაშინ, როცა ეს წინადადება მთავრდება და იწყება ახალი – დიახ, პანკისის ხეობას იცნობს მსოფლიო, მაგრამ როგორ? რა ხდება ამ პატარა და, ერთი შეხედვით, უწყინარ ხეობაში ასეთი? როგორ "გააცნო თავი" მან მსოფლიოს?

პანკისის ამბები ჯერ კიდევ 1990 წლებიდან იწყება. ვფიქრობ, სწორედ ეს პერიოდია დასაბამი იმ სტერეოტიპებისა, რასაც ახლა პანკისის შესახებ მედიით თუ პირადი საუბრებიდან ვისმენთ.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როცა ქვეყანაში არეულობამ დაისადგურა, პანკისის ხეობა ბევრი ქურდისთვის და ყაჩაღისთვის თავშესაფარად იქცა. აი ასე, გაიტაცებდნენ ადამიანს და პანკისში გადამალავდნენ, ეს კი, ხშირად ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელშეწყობით ხდებოდა. ამის შესახებ ყოველთვის საუბრობდნენ ადგილობრივები, ერთხელ მაშინდელი ერთ–ერთი პანკისური დაჯგუფების წევრმა თქვა, ჩვენ დიდი არაფერი გვაქვს გასაკეთებელი, ქართველი პოლიციელები იტაცებენ ადამიანებს, მოჰყავთ პანკისამდე, აქ კი ჩვენ უბრალოდ ვინახავთ მათ და ამაში საკმაოდ სოლიდურ ფულსაც ვიღებთო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რომელიმე პანკისელი მიდიოდა თბილისში ან სხვაგან სადმე, იქ იტაცებდა ადამიანს და შემდეგ ხეობაში მოყავდა, მწარედ ცდება. 1999 – 2000 წლიდან საქართველოში ჩეჩნეთიდან დევნილი მოსახლეობის შემოსვლა იწყება. უმრავლესობა სწორედ პანკისში მიდის. ეს ლოგიკურიცაა, რადგან აქ მათივე ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ამ პერიოდიდან ხეობაში ვითარება სულ უფრო ნაკლებად ექვემდებარება კონტროლს და პანკისი მედიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა. ყოველდღიურად შუქდება ამბები, თუ როგორ იტაცებენ იქ ხალხს,როგორ კლავენ, როგორი ველური კანონებით ცხოვრობენ, მსოფლიო მასშტაბით გავედით უკვე, გავედით რა მხრივ? ტერორიზმი, ნარკოტიკები და ა.შ. უკეთესს ვერაფერს ინატრებ... ნებისმიერი სტატია თუ სიუჟეტი,რომელიც ამ პერიოდშია მომზადებული, სწორედ ზემოხსენებულ კონტექსტშია გაშუქებული. არადა, რამდენი საინტერესო რამის გადაღება

შეიძლებოდა მაშინ, რამდენი საინტერესო ტრადიციაა,რომელიც კარგად მახსოვს,დღეს კი დავიწყებას მიეცა.

სამწუხაროა, მაგრამ მედიამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პანკისის და პანკისელებისგან მტრის ხატის შექმნაში. ზოგჯერ ვფიქრობ, ზოგისთვის მხოლოდ ესაა ჟურნალისტიკა – მთავარია მძიმე, საინტერესო და რაც მთავარია, „გაყიდვადი“ თემა წაიღო ადგილიდან. ასე ხდებოდა პანკისის შემთხვევაშიც.... მედიასაშუალებების დღის წესრიგში პანკისი ან საერთოდ ვერ ხვდებოდა, ან თუ ხვდებოდა, მხოლოდ ადამიანთა გატაცებების, ნარკოტიკების კონტექსტში...

ამ მძიმე პერიოდიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა,შეიცვალა საზოგადოება, შეიცვალნენ მთავრობები, წესრიგიც, მაგრამ ერთი რამ უცვლელი დარჩა – მედია და მის მიერ გაშუქებული თემები. ნებისმიერ ქალაქში რომ გავიდეთ და ჩავატაროთ ქუჩის გამოკითხვა თემაზე – რა ასოციაციები გიჩნდებათ პანკისზე –როგორ ფიქრობთ, რას იტყვიან? ტერორისტები, მკვლელები ვაჰაბიტები და ა.შ.

პანკისელობის გამო, კურიოზულ სიტუაციებშიც ხშირად ჩავვარდნილვარ.ამას, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მომენტში სიცილით ვატარებ, მაგრამ მერე ვფიქრობ ხოლმე, რამდენად ცუდ დღეში ვართ. ერთხელ მეგობრებთან ერთად ვმგზავრობდი, ვსხედვართ მიკროავტობუსში, ვხუმრობთ რაღაცებზე და უცბად დგება მომენტი,როცა დავიწყეთ ჩვენ-ჩვენი წარმომავლობის შესახებ საუბარი. დადგა ჩემი ჯერიც და ვამბობ, რომ მე პანკისელი ვარ, ქისტი . უცბად მივიხიდე და რას ვხედავ – ჩემ გვერდით მჯდომი მეგობარი ლამის მინაზეა მიკრული და ცდილობს, რაც შეიძლება შორს დაიჭიროს ჩემგან თავი. თავიდან გამიკვირდა, ის ხომ ჩვეულებრივად მესაუბრებოდა, რა სჭირს, ასე უცბად რამ შეცვალა-მეთქი. გაირკვა,რომ ჩემი შეეშინდა. შეეშინდა, რომ რამე არ დამეშავებინა მისთვის, არადა რამდენიმე წუთის წინ ჩვენ შორის არ იყო არანაირი გაუცხოება, უბრალოდ ახალგაზრდები ერთად მივდიოდით და ყველანი კარგ ხასიათზე ვიყავით. მაშინ გავაცნობიერე, თუ რა ძალა აქვს მყარად ფესვგადგმულ ნეგატიურ სტერეოტიპებსა და სტიგმას. ეს არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი, ასე იქნება მანამ, სანამ არ დასრულდება პანკისის ხეობის დემონიზაცია, ეს კი საკუთარ თავზე სწორედ მედიამ უნდა აიღოს.
სირიაში ერთ-ერთი ავიაიერიშის დროს დაიღუპა საქართველოს ორი მოქალაქე, ერთი პანკისელი ქისტი და მეორე აჭარელი. რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის ყველა საინფორმაციოს მთავარი თემა ასეთი იყო: ,,სირიაში კიდევ ერთი პანკისელი დაიღუპა” . მოქალაქე აჭარიდან არავის გახსენებია. როცა ასეთ ფაქტებს უყურებ, გიჩნდება კითხვა, გამიზნულად ხომ არ ხდება ეს ყველაფერი? რაშია საქმე, რატომ მხოლოდ პანკისი და რატომ მხოლოდ ცუდ კონტექსტში?! ეს საკითხი ძალიან აწუხებთ პანკისში, თუმცა მათი ამ და სხვა წუხილების შესახებ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არაფერი იცის, არ იცის პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს თემა მედიას არ აინტერესებს. ხშირად მიფიქრია, ხომ შეიძლება საინტერესო თემები გაშუქდეს პანკისზე, თქვას ვინმემ, რამდენად ლამაზი და საინტერესოა პანკისის ხეობა ან იმაზე გაკეთდეს სიუჟეტი, რა სოციალური პრობლემები აქვს მოსახლეობას, რას ფიქრობენ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე... გზები, კომუნიკაციები, წყალი წესრიგშია? თუმცა არა, ეს თითქმის არავის აინტერესებს, აქედან მხოლოდ ტერორიზმი მიაქვთ, სხვა დანარჩენი თითქოს არც არსებობს.

ერთხელ მაინც რომ დაინტერესებულიყო რომელიმე მედიასაშუალება,თუ რატომ არის ხეობაში ნარკომანია, ქურდობა, მკვლელობა თითქმის ნულზე დასული, რამ შეცვალა ეს ხეობა ასე მალე, რა მოხდებოდა? არ არის ეს საინტერესო?! მერწმუნეთ, მთავრობების ცვლილებები და ადგილზე არსებული პოლიცია ამაში არ თამაშობს დიდ როლს, საინტერესოა, რამ მოახდინა ასეთი ტრანსფორმაცია,იმედი მაქვს ვინმე დაინტერესდება ამ თემით.

ამ თემით მედია არ ინტერესდება ხოლმე, თუ არ ჩავთვლით კახეთის საინფორმაციო ცენტრს,რომელიც აქტიურად მუშაობს ხეობაში და ხშირად აშუქებს სხვა თემებსაც, როგორიცაა კულტურა, ტრადიცია....თუმცა ეს არაა საკმარისი, როცა ცენტრალური ტელევიზიების სიუჟეტების 90% უარყოფით კონტექსტში აშუქებს პანკისს. ყველაზე მტკივნეული ადგილობრივებისთვის ის მომენტია, როცა ისეთ ,,სკანდალურ" მასალას ,,გაიტანენ" ხოლმე გარეთ, რაც საერთოდ არც არსებობს და მედიის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. მსგავსი ფაქტების გამო დღეს ხეობაში ჟურნალისტებს აღარ ენდობიან.

ყველაზე საინტერესო იყო ერთ-ერთ სააგენტოში გამოქვეყნებული მასალა ,,შაჰიდი ქალი პანკისიდან" . მასალას უამრავი ნახვა ჰქონდა, კომენტარების ველში იწერებოდა სალანძღავი სიტყვები ქისტების მისამართით და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჟურნალისტმა შეთხზა ამბავი, დასვა ვიღაც ხუმარა, ვისი მონაყოლიც პირდაპირ, მთელი სიმძაფრით გაიტანა ხალხში. ამ ყველაფრით, პირველ რიგში, პანკისელები ზარალდებიან. ასეთი ქმედებები მათ გაუცხოებას იწვევს. უფრო და უფრო მწვავდება პანკისელებისა და ჟურნალისტების ურთიერთობა,უკვე ვეღარ არჩევენ, ვინ წერს სწორს და ვინ არა, ამაში ვერც გაამტყუნებ.

ხეობაში ცენტრალური ტელევიზიიდან თუ ვინმე გამოჩნდა, უკვე ყველამ იცის საღამოს რა თემაზე იქნება სიუჟეტი, ეს სირიაა...ან ვრცელდება ხმა,რომ სირიაში ვინმე დაიღუპა,ან ახალი წავიდა, ან კიდევ მათთან კავშირის ბრალდებით ვინმე დააკავეს, სულ ეს არის ის რაც ბევრი რედაქტორის აზრით მაყურებელს აინტერესებს.

რაღაც პერიოდის მერე ისევ დაიწყებენ შეხვედრებს,იქნება ბევრი საუბარი თუ როგორ გადაწყვიტონ გაუცხოების და სრულფასოვანი ინტეგრაციის პრობლემა ხეობაში, როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა პრობლემის მოგვარება, ამაში მედიაც იქნება ჩართული, თუმცა დარწმუნებული ვარ, იმაზე არავინ იფიქრებს, ერთ დროს მედიას რომ ადეკვატურად გაეშუქებინა რეალობა, საქმე აქამდე არ მივიდოდა, ეს არ მოხდებოდა!

წყარო

## პანკისელებმა განაცხადეს, რომ სტერეოტიპი „ტერორისტული რეგიონის“ შესახებ უნდა დაიმსხვრეს

**„კავკაზსკი უზელი“ პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ვრცელ მასალას აქვეყნებს. სტატიაში რესპოდენტებზე დაყრდნობით ავტორი მოგვითხრობს პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის ხელშემწყობ ფაქტორებზე, ხეობაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სათემო რადიოს საქმიანობაზე.**

პანკსის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების გამგზავრების პრობლემა გადაწყვეტილია, თუმცა რეგიონს კვლავ რჩება იმ ადგილის რეპუტაცია, საიდანაც ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ მომხრეებს იღებს. ამის შესახებ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა განაცხადეს. ისინი თვლიან, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პანკისის ცხოვრების სრული სურათი უნდა წარმოაჩინონ.
პანკისის რეპუტაცია დაზარალდა რეგიონის ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში გაშუქებით
პანკისის სათემო რადიო, რომელმაც მუშაობა 2015 წლის დეკემბერში დაიწყო, რეგიონის ცხოვრების გაშუქებას განაგრძობს. ამის შესახებ „კავკაზსკი უზელს“ პროექტის კოორდინატორმა და კახეთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა გელა მთივლიშვილმა განუცხადა. რადიოსადგურის მიზანია როგორც პანკისის ხეობის მოსახლეობის ინფორმირება, ისე პანკისში არსებული სიტუაციის გაშუქება დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისთვის.
„სტერეოტიპები აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს. სამწუხაროდ, მთავარი სტერეოტიპი ის არის, რომ აქ უსაფრთხოება დაცული არაა და რომ პანკისი ტერორიზმის თემას უკავშირდება“, – განმარტა ჟურნალისტმა.
მთივლიშვილის სიტყვებით, პანკისში კრიმინალური ვითარება 2000 წელს, მეზობელ ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი კამპანიის ფონზე გამწვავდა.
„პანკისი, რომელიც იმ დროს ხელისუფლების მიერ არ კონტროლდებოდა, სამწუხაროდ, კრიმინალის ერთგვარ თავშესაფრად იქცა. მაგრამ 2003 წლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ხეობაში პოლიციის კონტროლი აღდგა. უკვე 2013 წელს კი აქ ე.წ. „ისლამური სახლემწიფოს“ გავლენა გაიზარდა“, – ყვება ის.
„არ არის საჭირო, რომ რელიგია მთავარ ფაქტორად განვიხილოთ, ეს ასე არ არის. მთავარი ფაქტორი იდეოლოგია და ორი ადამიანია, პანკისის მკვიდრები, რომლებიც საომრად აქედან სირიაში წავიდნენ: თარხან ბათირაშვილი და მურად მარგოშვილი (ასევე ცნობილი, როგორც მუსლიმ აბუ ვალიდი – „კავკაზსკი უზელის“ შენიშვნა). ამ ადამიანების ფაქტორმა გავლენა იქონია სირიაში ახალგაზრდების მიგრაციაზე. თარხან ბათირაშვილი მისაბაძ მაგალითად იქცა. არასოდეს გავამართლებ ტერორიზმს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ თავისი საბედისწერო როლი შეასრულა, ბათირაშვილს უსამართლოდ მოექცა და ამ ადამიანმა კარგი სამხედრო კარიერის ნაცვლად ტერორისტის კვალიფიკაცია მიიღო“, – განაცხადა მთივლიშვილმა.
მან ასევე აღნიშნა, რომ ახლა პანკისის რეპუტაცია სერიოზულად ზიანდება იმის გამო, რომ ის მედიაში მხოლოდ უარყოფითად შუქდება.
„ეს არასწორია. თითქოსდა აქ პოზიტიური არაფერია და მხოლოდ ნეგატივია. თითებზე ჩამოითვლება ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებსაც პანკისის შესახებ რაიმე პოზიტიური დაუწერიათ. ამიტომაც გადავწყვიტეთ აქ ადგილობრივი რადიოს გახსნა“, – განაცხადა პროექტის კოორდინატორმა.
მისი თქმით, სანამ რადიო მუშაობას დაიწყებდა ადგილობრივი ბლოგერებისთვის ტრენინგები ჩატარადა.
„სამოქალაქო აქტივობების ცენტრში ასევე ტარდება ბუღალტერული აღრიცხვისა და ავტომობილის მართვის კურსები. მსურველთა რიცხი დიდია, არის დაინტერესება და ნდობა. მთავარია, რომ ახალგაზრდებს უკეთესი ცხოვრების იმედი ჰქონდეთ, ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილი მცირე გრანტების წყალობით, 2015 წელს ზოგიერთ ადგილობრივს შანსი მიეცა საკუთარი ბიზნესიდეა განეხორციელებინა: ვიღაცამ ინტერნეტ კაფე გახსნა, ვიღაცამ – სასტუმრო, ვიღაცამ კი ავტოსერვისი. იმედი გვაქვს, რომ ამგვარი

რამ წელსაც იქნება. მათ ხელშია ხეობის ნეგატიური იმიჯის შეცვლა. ეს კი თავის სარგებელს მოიტანს, მაგალითად, აქ შესაძლებელია ტურიზმის განვითარება“, – განაცხადა მთივლიშვილმა.
პანკისის ხეობის მაცხოვრებლები ცოტა უარყოფითად არიან განწყობილნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლების მიმართ იმდენად, რამდენადაც მათ საქმიანობას პანკისის ხეობის უარყოფითი სახის შექმნას უკავშირებენ. ამის შესახებ ადგილობრივი ჟურნალისტი ზარემა იდიძე ყვება, რომელმაც თავისი კარიერა ახლახანს დაიწყო.
„ეს მოხდა მხოლოდ ერთი საკითხის მასობრივი გაშუქების გამო – მათი, ვინც სირიაში წავიდნენ. თითქოს ხეობაში სხვა არაფერია ამის გარდა“, – უთხრა „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს იდიძემ.
[სირიასა და ერაყში საქართველოს 50-მდე მოქალაქე იბრძვის. ამის შესახებ საქართველოს უშიშროების სამსახურის ანგარიშშია ნათქვამი, რომელიც 29 მარტს გამოქვეყნდა. აპრილში ცნობილი გახდა, რომ პანკისელი ვახა ბუგიევი სირიაში დაიღუპა. იგი იქ 2015 წელს გაემგზავრა]
საერთო ჯამში სირიაში დაახლოებით 50 ადამიანია წასული. ამის შესახებ „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს ანონიმურობის დაცვის პირობით, სოფელ ჯოყოლოს მკვიდრმა უთხრა. თუმცა სირიაში გამგზავრებულთა ზუსტი რიცხვის დასახელება მან ვერ შეძლო.
„თავდაპირველად სირიაში მიმდინარე ომი აქ აღიქმებოდა როგორც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამან ბევრი შთააგონა წასულიყო სირიაში რუსეთის და ასადის წინააღმდეგ საომრად. მოგვიანებით, როცა ვნახეთ თუ რა ხდება იქ, ბევრს იმედი გაუცრუვდა. არიან ისინიც, რომლებიც დაბრუნდნენ – დაახლოებით 10 ადამიანი. ისინი დაბრუნდნენ და აქ სოფლებში წყნარად ცხოვრობენ“, – განაცხადა სოფლის მკვიდრმა.
მისი აზრით, ეს პრობლემა ახლა პანკისისთვის აქტუალური არ არის. მან დაამატა, რომ ადგილობრივმა იმამებმა ახალგაზრდები შეკრიბეს და აუხსნეს, რომ სირიაში წასვლა არ არის საჭირო.
ეს ინფორმაცია „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს დაუდასტურა სოფელ ბირკიანში მცხოვრებმა კაკო ბორჩაშვილმაც, რომელიც უხუცესთა საბჭოს წევრია.
„არც სირიაში, არც უკრაინაში და არც სადმე სხვაგან წასვლა საჭირო არაა. ჩვენი სამშობლო საქართველოა, ხოლო ჩვენი წინაპრებისა – ჩეჩნეთი. მაგრამ, რა თქმა, უნდა მათი ძალით დაჭერა არ შეგვიძლია და იყვნენ ისეთებიც, ვინც გაემგზავრნენ. ეს არ არის ისლამის გზა. არსად წერია, რომ უნდა წახვიდე და მოკლა“, – ხაზი გაუსვა მან.
[ქისტები პანკისის ხეობაში 1830-იან და 1870-იან წლებში ჩასახლდნენ. ქისტების გარდა აქ ჩეჩნების დიდი ჯგუფი ცხოვრობს, რომლებმაც ჩეჩნეთი მეორე საომარი კამპანიის შემდეგ დატოვეს, ასევე ინგუშების მონათესავე ბაცბები]
„აქ, პანკისში იმდენი პრობლემაა: უმუშევრობა, არ არსებობს ინფრასტრუქტურა, ჟურნალისტებს კი მხოლოდ სირიასთან დაკავშირებული საკითხი აინტერესებთ“, – განაცხადა მან.
პანკისს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წყნარი და მშვიდი რეგიონი უწოდა სოფელ ომალოს მკვიდრმა მუსამ, რომელიც ფუნდამენტური ისლამის მიმდევარია. მან, გელა მთივლიშვილის მსგავსად, აღნიშნა, რომ ახალგაზრდები პანკისის ხეობაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში აქტიურად არიან ჩართულნი.
„ხეობა კარგი მიმართულებით ვითარდება. როგორც მთავრობის, ისე არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერით აქ ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა პროექტები ხორციელდება“, – უთხრა მუსამ „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს.

სოფლის მკვიდრი არ თვლის, რომ სირიაში პანკისიდან უფრო მეტი ადამიანი მიდის, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებიდან.
„იქ საომრად მთელი მსოფლიოდან მიდიან, თუმცა რატომღაც მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც კი აქცენტს პანკისზე აკეთებენ. აქედან ძალიან ცოტა ადამიანი წავიდა. ვფიქრობ, მაქსიმუმ ათი ადამიანი. ბოლო დროს კი აღარავინ მიდის. არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ პანკისიდან 50 ადამიანია წასული. ეს, შესაძლოა, საქართველოს ის მოქალააქეები იყვნენ, ვინც თურქეთში 10–15 წლის განმავლობაში ცხოვრობენ და სირიაში იქიდან წავიდნენ", – განაცხადა მუსამ.
[საქართველოს სპეცსამსახურების მონაცემებით, პანკისის ხეობის მკვიდრები მონაწილეობდნენ 2012 წელს ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებში, როდესაც ძალოვანების მიერ მძევლებად აყვანილი ადგილობრივების გასათავისუფლებლად ჩატარებული მსხვილი ოპერაციის შედეგად 11 სავარაუდო ბოევიკი მოკლეს. მათი ნაწილი, ნათესავების განცხადებით, პანკისში საიდუმლოდ იქნენ დამარხულნი. „კავკაზსკი უზელმა" გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მასალა ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის და მომხდარის ვერსიების შესახებ]
ახალგაზრდების წასვლა სირიაში პანკისისთვის ნამდვილად იყო სერიოზული პრობლემა 2013–2014 წლებში. აღნიშნული პანკისის ქალთა სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლეილა აჭიშვილმაც დაადასტურა. ის სოფელ ჯოყოლოდანაა.
„ამით ბევრ მშობელს მიადგა ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ყველა ვამბობდით, რომ არ არის საჭირო ომში წასვლა. სამწუხაროდ, მსოფლიომ პანკისი ამ თემის გამო გაიცნო. ახლა ეს ყველაფერი შეჩერდა. ვფიქრობ, ეს საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა, ასევე იმ ინიციატივებისა, რომლებიც პანკისის ხეობაში განხორციელდა", – განაცხადა აჭიშვილმა.
მან ასევე ისაუბრა სამოქალაქო აქტივობების ცენტრის საქმიანობაზე და ამ ორგანიზაციის მიერ ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერაზე.
„ძალიან ბევრი რამ უკავშირდება იმას, რომ ახალგაზრდები ვერაფრით კავდებიან. ამას ემატება უმუშევრობის მაღალი დონე. სირიაში წასულთა შორის სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები იყვნენ: ვიღაც ჯიჰადის გამო მიდიოდა, ვიღაც იქ ფულის შოვნაზე ფიქრობდა, ვიღაც კი ინტერესის გამო გაემგზავრა, მაგრამ მათგან უმრავლესობა არიან ხელმოკლე მრავალშვილიანი ოჯახებიდან. ამჟამად სირიის თემა დახურულია. იქ ბევრი დაიღუპა. ბევრი ისევ იქ არის და დაბრუნებაც რომ უნდოდეთ, უკვე აღარ შეუძლიათ", – განაცხადა აჭიშვილმა.

წყარო

## “ყველას აქვს თავისი ევერესტი, რომლის დალაშქვრაც შეუძლია” - ინტერვიუ “პანკისი ქემფინგის” დამფუძნებელ მანო ქავთარაძესთან

ოთხშაბათი, 18 მარტი, 2020

**“პანკისი ქემფინგის” დამფუძნებელი მანო ქავთარაძე**

მსოფლიოსთვის პანკისის ხეობის ბუნების გაცნობის მიზნით მანო ქავთარაძემ 2018 წელს დააფუძნა “პანკისი ქემფინგი”. დიდი შრომით და USAID-ის მხარდაჭერით მან წარმატებული ბიზნესი შექმნა. წელს ის 30 წლამდე მეწარმეების #ForbesUnder30 ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა.

ულამაზესია პანკისის ხეობა საქართველოში. მას ჩრდილოეთით კავკასიის თოვლიანი მთები, ხოლო სამხრეთით ღვინით განთქმული რეგიონი ესაზღვრება. პანკისში წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ეთნიკური ქისტები და სუნიტი მუსლიმები, რომელთაც მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ რეგიონებთან. 1990-იანებსა და ადრეულ 2000-იან წლებში ეს მშვიდობიანი თანაცხოვრება ქაოსმა დაარღვია, რამაც პანკისს დიდი დაღი დაასვა და გარკვეულ იზოლაციაში მოაქცია.

USAID-ის მხარდაჭერა ითვალისწინებს პანკისის ეკონომიურ გაძლიერებას და ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობას, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ეს პროგრამები ქალთა გაძლიერებას და ახალგაზრდებისთვის ისეთი პლათფორმების შექმნას ისახავს მიზნად, რომლებიც მათ საქართველოში მცხოვრებ თანატოლებთან ურთიერთობას გაუადვილებთ. შედეგად აკი ღდგება სოციალურ-ეკონომიკური ხიდი პანკისსა და დანარჩენ საქართველოს შორის.
მეწარმე ქალი მანო ქავთარაძე სათავგადასალო ტურისტული ბიზნესის წარმომადგენელი და "პანკისი ქემფინგის" დამაარსებელია. მანო იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ქალებსაც შეუძლიათ მოაღწიონ წარმატებას სათავგადასავლო ტურიზმის სექტორში, რომელშიც ძირითადად მამაკაცები არიან დასაქმებულნი.

გასულ თვეს მანო 30 წლამდე მეწარმეთა შორის #ForbesUnder30 ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. ბიზნესი USAID-ის პროგრამა " ზრდა"-ს გრანტით დაიწყო 2018 წელს და მას შემდეგ დაუღალავად შრომობს, ქმნის კომერციულად მდგრად ტურისტულ ბიზნესს და მსოფლიოს აცნობს პანკისის ხეობის სილამაზეს.
მანო გვესაუბრა პანკისში თავისი ბიზნესის შესახებ, სამომავლო გეგმებზე და ტურიზმის პოტენციალზე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

**რატომ გადაწყვიტეთ გიდობა?**

მთიან სოფელში გავიზარდე და მთა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩემთვის ეს არის განსაკუთრებული თავისუფლების შეგრძნება. როდესაც დგახარ უსიტყვოდ, ცასა და დედამიწას შორის და გული გამალებით გიცემს, გინდა რომ ეს ემოცია სხვასაც გაუზიარო. ყველაზე ამაყი მაშინ ვარ, როდესაც ტურისტებს ჩემს ქვეყანას ვაცნობ. ჩემი ჰობი პროფესიად ვაქციე და სწორედ მთის სიყვარულმა მიბიძგა გავმხდარიყავი გიდი.

**რატომ პანკისი? რამ გადაგაწყვეტინათ გააცნოთ პანკისი მსოფლიოს?**

აქ ჩემი თავის საჭიროება დავინახე. ჩემს მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ორჯერ უფრო ღირებული სწორედ აქ არის. ერთი წლის წინ დავაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth for Pankisi Development". მე არ ვაკეთებ მხოლოდ ტურიზმს, მე ვცდილობ გავხდე ჯაჭვი ქართველებსა და ქისტებს შორის. მინდა ვანახო საქართველოს, რომ ისინი ჩვენი ხალხია და მათთან 200 წლიანი თანაცხოვრება გვაკავშირებს, საერთო წარსულით, ტრადიციებით და ადათები. აქ გაშლილი ხელით და სუფთა გულით იღებენ სტუმარს. დღეს პანკისში ცხოვრება ისეთივე უსაფრთხოა, როგორც დანარჩენ საქართველოში. რატომ უნდა გაიცნოს მსოფლიომ? - მსოფლიო უკვე იცნობს პანკისს, თუმცა სამწუხაროდ უარყოფით ჭრილში. ახლა ცვლილებების დროა. პანკისის ხეობის ისტორია, უძველესი ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები, კავკასიონის მთები, ჩანჩქერები, მდინარეები და ტბები, ფლორა, ფაუნა და რაც მთავარია ხალხი, მათი ტრადიციები, სამზარეულო და კულტურა გვაძლევს შესაძლებლობას გავხდეთ ტურისტულად მიმზიდველი მსოფლიოსთვის.

**რა მიზნები გაქვთ პანკისი ქემფინგთან დაკავშირებით? რის მიღწევას ცდილობთ?**
ჩემი მიზანია პანკისი ქემფინგი გახდეს სათავგადასავლო ტურიზმის ცენტრი ხეობაში. ეს

იქნება სრულფასოვანი ბანაკი კოტეჯებით, კარვებით, ქარავანი მანქანებით, რესტორნით, გასართობი და დასასვენებლი სივრიც. ჩვენს სტუმარს ერთდროულად შეეძლება ღამე გაათენოს ბუნებაში, დააგემოვნოს ქართული და ქისტური სამზარეულო, გაეცნოს ადგილობრივების ცხოვრების წესს, დაკავდეს სხვადასხვა სპორტული აქტივობით, დაგეგმოს საფეხმავლო და საცხენოსნო ტური, იქირაოს სამთო ველოსიპედი, ისწავლოს ცხენზე ჯირითი, იბანაოს მთის მდინარეებში, გაატაროს საღამო კოცონთან და სხვა. შორეულ პერსპექტივაში მიზნად მაქვს შევქმნა კემპინგების ქსელი და მოვიცვა საქართველოს სხვა მთიანი რეგიონები. სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის, საჭიროა რომ განვავითაროთ საკემპინგო არეალი.

**როგორია სათავგადასავლო ტურიზმის როლი საქართველოში? შეიძლება ის გახდეს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი?**

როდესაც სათავგადასავლო ტურიზმში ჩავერთე, ვიცოდი რომ, ამ საქმით მეტი სარგებლის მოტანა შემეძლო ჩემი ქვეყნის ეკონომიკისთვის, ვიდრე რიგითი ოფისის თანამშრომლის სტატუსით. ასევე მჯერა რომ სათავგადასავლო ტურიზმი საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. ამას წლები დასჭირდება, თუმცა ეს მიღწევადია. ყველანაირი პირობა არსებობს ამ სფეროს მაღალ დონეზე განვითარებისთვის. პ პოტენციალი ხალხშიცაა, განსაკუთრენით ახალგაზრდებში. მე „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ დავამთავრე, სადაც ყველა საჭირო უნარი შევიძინე. მსგავსი სკოლების არსებობა კარგი იქნებოდა მთიან რეგიონებშიც, რათა ადგილზე მოხდეს გიდების გადამზადება. ასევე, ვისურვებდი ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამა წამყვან ტურისტულ ქვეყნებში.

წყარო:🔗

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | „დემოკრატია“; ,,სოციალიზაცია“ |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.1; მოქ.საბ.3** |
| **საკითხი:** | **სპორტი და რადიკალიზმი** |

**კომპლექსური დავალების პირობა:**

,,სპორტს შეუძლია სამყაროს შეცვლა. მას აქვს ძალა, რომ შთააგონოს ადამიანები და გააერთიანოს ისე, როგორც სხვას ცოტა რამეს თუ შეუძლია. სპორტი ესაუბრება ახალგაზრდობას იმ ენაზე, რომელიც მათ კარგად ესმით. სპორტს შეუძლია შექმნას იმედი, იქ, სადაც მხოლოდ იმედგაცრუება იყო. სპორტი მთავრობაზე ძლიერია რასობრივი ბარიერების რღვევაში. სპორტისთვის სასაცილოა ყოველგვარი დისკრიმინაციის ფორმა.“ – ეს სიტყვები ნელსონ მანდელას ეკუთვნის და კარგად ასახავს სპორტის დამსახურებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის გამო, იშვიათია ადამიანი, რომელიც რომელიმე სახეობის სპორტს რომ არ გულშემატკივრობდეს. თუმცა, ზოგჯერ გულშემატკივრობა გარკვეული მიზეზების გამო, შესაძლოა დადგენილ ნორმებს გასცდეს.

შეისწავლეთ კონკრეტული შემთხვევები სპორტული ცხოვრებიდან და შექმენით საინფორმაციო ბუკლეტი სპორტული გულშემატკივრობის შესახებ.

***ბუკლეტში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:***

- სპორტული გულშემატკივრობის თავისუფლების ფარგლები. როდის შეიძლება მიიღოს გულშემატკივრობამ რადიკალური ხასიათი;
- თქვენ მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული გულშემატკივრობის ქცევის ნორმები (ბუკლეტშივე დაურთეთ თქვენ მიერ მინიმუმ 5 პუნქტიანი ქომაგის კოდექსი, რომელშიც ასახული იქნება ის წესები, რომლებიც ღირსეულ გულშემატკივრობას და რადიკალიზაციის გამორიცხვას უზრუნველყოფს);

**პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:**

**დავალების პირობის შესასრულებლად მიყევით ნაბიჯებს**

- გაეცანით მასალას ⬇ და დაფიქრდი, როდის იღებს სპორტული გულშემატკივრობა რადიკალურ სახეს, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა და რა საშიშროება შეიძლება შეუქმნას მან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას; რამდენად დგას გულშემატკივრების რადიკალიზმის პრობლემა საქართველოში;
- იმსჯელეთ ის დანაშაულებრივი ქმედებები, რაც ქომაგების მიერ არის ჩადენილი, რამდენად არის უშუალოდ სპორტთან, სპორტულ სულისკვეთებასთან და გულშემატკივრობასთან კავშირში. რა შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედებების რეალური მიზეზი?

- ზემოხსენებული საკითხების დამუშავების შემდეგ, დასკვნის სახით შეიმუშავეთ მინიმუმ ხუთ პუნქტიანი ქომაგის ქცევის კოდექსი. ქომაგის ქცევის კოდექსში შეგიძლიათ გამოიყენოთ **სტადიონზე ქცევის წესებიდან** 🔗ის ნორმები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და ასევე, შექმენით ისეთი ნორმები, რომლებიც ქომაგის სპორტული სულისკვეთებისა და გულშემატკივრობის მიზნებს დააკავშირებს;
- ბუკლეტის დასამზადებლად შეიძლიათ გამოიყენოთ 🔗www.canva.com.

## 2016 წლის ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ინციდენტები

**"ბიბისის" ცნობით** 🔗, უეფამ რუსეთის საფეხბურთო ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა და 150 000 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდაც დააკისრა. რუსეთს შეუძლია გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატი 10 ივნისს საფრანგეთში დაიწყო, 11 ივნისს კი – რუსეთისა და ინგლისის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრის შემდეგ – გულშემატკივრები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. UEFA–ს დისციპლინარულმა კომიტეტმა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ 11 ივნისს, მატჩის დასრულების შემდეგ შექმნილი არეულობის გამო დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო. 6 ინგლისელი გულშემატკივარი ორშაბათს დააკავეს. ინციდენტში 35 ადამიანი დაშავდა.

რუსულ მხარეს ბრალად ედებოდა სტადიონზე არეულობს შექმნა და ფოიერვერკების გაშვება, ასევე, რასისტული ხასიათის ქმედებები. ორგანიზაციის განცხადებით, ინგლისის გულშემატკივრების წინააღმდეგ სანქციები არ გატარდება, რადგან არეულობის ინიციატორები რუსეთის ნაკრების ფანები იყვნენ.

სანქციების შესახებ ზუსტი ინფორმაცია დღეს, 14 ივნისს, დისციპლინარული კომიტეტის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

უეფას ცნობით, იგივე სასჯელი დაუწესდება რუსეთის ნაკრებს, თუ მის რომელიმე მატჩზე მსგავსი ინციდენტი განმეორდება. საფრანგეთის სამართალდამცავებმა კი რუსეთის ნაკრების ფანების ნაწილის დეპორტაცია მოახდინეს. ფრანგულმა პოლიციამ განაცხადა, რომ 150 "კარგად გაწვრთნილი" რუსი გულშემატკივარი იყო შემჩნეული ხულიგნობაში.
**BBC–ის ცნობით** 🔗 , რუსეთის ნაკრების 29 გულშემატკივარი ფრანგულმა პოლიციამ აეროპორტამდე მიაცილა, – საფრანგეთმა მათი დეპორტაცია მოახდინა.

წყარო: 🔗

**ლივერპულ-რომას გულშემატკივრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.**

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის წინ, ლივერპულ-რომას გულშემატკივრებს შორის, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ამის შესახებ BBC წერს.
„ლივერპულის“ ერთ-ერთი გულშემატკივარი დანით მიყენებული ჭრილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. დაზარალებულს რომას 20-მდე ფანი დაესხა თავს.
პოლიციამ მომხდარის გამო 7 ადამიანი დააკავა.
წყარო:

**გორის სტადიონზე მომხდარ დაპირისპირებაზე სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს**
15:26, 03.05.2018

გორის საფეხბურთო სტადიონზე მომხდარ დაპირისპირებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს. ამის შესახებ განცხადება ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოში გააკეთეს.
კომიტეტის სხდომა 8 მაისს არის ჩანიშნული, სადაც ცნობილი გახდება, თუ რა სანქციები დაეკისრებათ კლუბებს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.
შეგახსენებთ, დაპირისპირება გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე მოხდა, სადაც ეროვნული ლიგის შეხვედრა გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ შორის იმართებოდა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. შეხვედრის მიწურულს კი გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება მოხდა. არსებული ინფორმაციით, ინციდენტი გორის „დილას“ ფეხბურთელის, ლუკა რაზმაძის მოედნიდან გაძევებამ გამოიწვია. გულშემატკივრების ნაწილმა სტადიონზე სკამები დააზიანა და ცეცხლის მოკიდებაც სცადა. ადგილზე სიტუაცია პოლიციამ განმუხტა.
გორის სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

წყარო:

**თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრების დაპირისპირება**

წერეთლის გამზირზე, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. როგორც ”ინტერპრესნიუსს” თვითმხილველმა აცნობა, გულშემატკივრებს შორის ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებას. ისმოდა აფეთქებების ხმაც. ადგილზე მობილიზებული არიან სამართალდამცველები.

მომხდარი ინციდენტის შესახებ ”ინტერპრესნიუსს” შსს-ში დაუდასტურეს. მათი განმარტებით, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებს, რომელიც პოლიციამ განმუხტა. რაც შეეხება, სროლის ხმას, ინციდენტის დროს გამოყენებული იყო პიროტექნიკა.
წყარო:

**გულშემატკივრების ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, რუსთავის და ქუთაისის საკალათბურთო კლუბები დასკვნით მატჩს ქუთაისში გამართავენ**
თარიღი : 20-05-2018, 00:45 | კატეგორია: ახალი ამბები, სამართალი

რუსთავში, სუპერ ლიგის პლეი ოფის მეოთხე მატჩის დროს, რუსთავისა და ქუთაისის საკალათბურთო კლუბების ფანებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირიპირება მოხდა.

რუსთავმა ქუთაისის გუნდს უმასპინძლა და ანგარიშით 63:74 დამარცხდა. დაპირისპირება ფანებს შორის თამაშის დაწყებამდე მოხდა. აღნიშნული დაპირისპირების ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. სიტუაციია საბოლოოდ პოლიციამ განმუხტა. სამართალდამცველებმა ორი პირი დააკავეს.
შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორივე მათგანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით არიან დაკავებული.

უწყების ცნობით, ორივე დაპატიმრებული ქუთაისის საკალათბურთო გუნდის გულშემატკივარია. არც თამაშს ჩაუვლია ექსესების გარეშე, მცირეოდენი დაპირისპირება მოედანზეც მოხდა.

წყარო:

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება:** | მსამოქალაქო თანამონაწილეობა |
| **შედეგები:** | **მოქ.საბ.9** |
| **საკითხი:** | covid-19 და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია |

**კომპლექსური დავალების პირობა:**

დღესდღეობით ყველაზე აქტუალური თემა და პრობლემა covid-19 ⬇ ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგებია. ამასთან დაკავშირებით უამრავი საჭირო და გამოსადეგი ინფორმაცია არის ხელისაწვდომი, თუმცა, ამის პარალელურად, გავრცელდა არაერთი კონსპირაციული თეორია ვირუსთან დაკავშირებით. ზოგიერთ მათგანს უამრავი მხარდამჭერი და გამზიარებელი ჰყავს საზოგადოებაში.

covid-19 ის გავრცელებისგან თავის დასაცავად არაერთი წესი და ნორმა არსებობს სკოლაში, რომელთა დაცვაც ყველას ვალდებულებაა. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ ასევე დაიცვათ კლასი/სკოლის თემი არაჯანსაღი და მცდარი ინფორმაციებისგან. მოამზადეთ პრეზენტაცია covid-19-თან დაკავშირებულ მითებზე და მათ მიერ გამოწვეულ შედეგებზე და წარუდგინეთ კლასს/სკოლის თემს.

**<u>პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**

- covid-19-თან დაკავშირებული დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემა.
- შესაძლოა თუ არა, რომ covid-19-ის შესახებ გავრცელებული არასწორი ინფორმაცია რადიკალიზაციის და კონფლიქტის წარმოშობის წყარო გახდეს.

საზოგადოების ინფორმირება, როგორც რადიკალიზაციის თავიდან არიდების და პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების ქმედითი საშუალება.

**<u>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:</u>**

- <u>სტატია 5G ინტერნეტზე, სტატია სამეცნიერო კონსპიტაციულ თეორიებზე</u> ⬇ დაგაფიქრებთ დღევანდელობაში გავრცელებულ კოვიდ ვირუსთან დაკავშირებულ მითებზე. რომელი მათგანი არის ისევ აქტუალური და შეცდომაში შემყვანი. წყაროების შესაბამისად დაასაბუთეთ, რატომ არის აღნიშნული მითები უსაფუძვლო. იმსჯელეთ, რა საშიშროება შესაძლოა წარმოქმნას არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ და ამ ინფორმაციის გადაუმოწმებლად მიღებამ.
- სტატიების (<u>ბერლინში აქციის დაშლა</u>⬇ ; <u>შტუდგარდში აქციის დაშლა</u>⬇ ) და ვიდეორეპორტაჟების (5g ანძებთან ბრძოლა – <u>რეპორტაჟი1</u>🔗 , <u>რეპორტაჟი2</u> 🔗 ) მიხედვით, იმსჯელეთ შეიძლება თუ არა საზოგადოებაში გავრცელებული

დეზინფორმაცია, არასწორი წარმოდგენები და ცრურწმენები გახდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის საფუძველი?

პრეზენტაციის შემაჯამებელ ნაწილში ისჯელეთ რა როლი აქვს მედიას, სკოლას, სამოქალაქო საზოგადოებას ისეთ რთულ სიტუაციებში, როგორიც კოვიდ ეპიდემიაა, საზოგადოების ინფორმირებაში და როგორ შეიძლება სწორად ინფორმირებით რადიკალიზმისა თუ დეზინფორმაციით გამოწვეული სხვა პრობლემების თავიდან არიდება. ჰკითხეთ დამსწრე საზოგადოებას, შეაფასონ თქვენი პრეზენტაცია და ზოგადად, ინფორმირების მნიშვნელობა დეზინფორმაციით გამოწვეული რადიკალიზაციისა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

## არსებობს თუ არა კავშირი 5G მობილურ ინტერნეტსა და COVID-19-ს შორის? მითი და რეალობა

ფოტო: Shutterstock.com

ადამიანის ჯანმრთელობაზე 5G მობილური ინტერნეტის სავარაუდო ნეგატიური გავლენის შესახებ თეორია დაახლოებით რამდენიმე წელია არსებობს. თავდაპირველად შეთქმულების თეორეტიკოსებს მიაჩნდათ, რომ 5G კიბოს იწვევს, თუმცა COVID-19-ის ეპიდემიის დაწყებისთანავე ის სწორედ SARS-CoV-2-ს (ახალი კორონავირუსი) დაუკავშირეს. თავდაპირველად მსგავსი ინფორმაცია გავრცელდა სოციალურ ქსელ

Facebook-ში იანვრის ბოლოს, როდესაც აშშ-ში ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა.

*რა შუაშია 5G?*

5G-თან ომის გამოცდილი ვეტერანები და ნეოფიტები ამტკიცებენ, რომ მასობრივი რესპირატორული დაავადების უკან არა ვირუსი, არამედ 5G სიხშირე დგას. შეთქმულების თეორეტიკოსების თქმით, სწორედ 5G სიხშირე აიძულებს ჟანგბადის მოლეკულებს "წამში 60 მილიარდი ჰერცის სიხშირით გადაადგილდნენ", რის შედეგადაც მათ ადამიანის სისხლში ჰემოგლობინთან დაკავშირება არ შეუძლიათ. „ეს იგივეა, რომ ეცადო, ხელით დაიჭირო ის სამართებელი, რომელიც წამში 60 გიგაჰერცის სიჩქარით მოძრაობს“, - წერს Reddit-ის ერთ-ერთი მომხმარებელი.

ამავე თეორიის თანახმად, COVID-19-ით დაავადებული პაციენტი სინამდვილეში განიცდის ჰიპოქსიას (ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა), რომელიც "5G რადიაციით" არის გამოწვეული. ამის „დადასტურებად“ კონსპიროლოგები მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთის პროვინცია ჰუბეის ქალაქი უჰანი (სადაც ეპიდემია დაიწყო) იყო პირველი (სინამდვილეში კი ერთ-ერთი პირველთაგანი), სადაც ზუსტად 2019 წლის შემოდგომაზე 5G ქსელის გაშვება სცადეს. ზოგს იმისიც ჯერა, რომ „ახალი კორონავირუსი -5G“-ს ტანდემს წინამორბედებიც ჰყავდა. შეთქმულების თეორეტიკოსების მტკიცებით, 2003 წელს SARS-ის („ატიპური პნევმონია“) ეპიდემია 3G ქსელის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული, 2009 წელს „ღორის გრიპის“ აფეთქება კი 4G ქსელს უკავშირდება. უფრო მეტიც, კონსპიროლოგებმა 1918 წლის ესპანური გრიპის იმავე „ესპანკის“ ეპიდემიის მიზეზების ძიება დაიწყეს და ის რადიოს გავრცელებას დაუკავშირეს.

5G-სა და COVID-19-ის ურთიერთკავშირის შესახებ შეთქმულების სხვა თეორიებიც არსებობს. ზოგი კონსპიროლოგი ამტკიცებს, რომ 5G-ს იმუნური სისტემის დაზიანება შეუძლია, რაც ადამიანს ახალი კორონავირუსისადმი უფრო მოწყვლადს ხდის. სხვები კი ფიქრობენ, რომ 5G ტექნოლოგიების გამოყენებით როგორღაც შესაძლებელია COVID-19-ის მასობრივი გავრცელება.

5G-ისა და ახალი კორონავირუსის კავშირის შესახებ შეთქმულების თეორიამ ონლაინ-სივრციდან მალევე რეალურ სამყაროში გადაინაცვლა, რამაც ქსელის გავრცელებას გარკვეული ზიანი მიაყენა.

აპრილის დასაწყისში ბრიტანული პრესა 5G ანტენების სავარაუდო წინასწარგანზრახული დაზიანებების შესახებ წერდა. მსგავსი ინციდენტები, სულ ცოტა, ორ დიდ ქალაქში - ბინმინგემსა და ლივერპულში მოხდა. გარდა ამისა, ჟურნალისტები წერდნენ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთ შემთხვევაზე იმ ინჟინრების მიმართ, რომლებიც ქვეყანაში 5G ქსელის გასაშვებად საჭირო მოწყობილობებს ამონტაჟებენ. Twitter-ზე პოპულარული გახდა ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში გადაღებული ვიდეო, რომელშიც ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო კომპანიის თანამშრომლებს ქალი შეურაცხყოფას აყენებს.

მსგავსი შინაარსის ვიდეო თუ ფოტომასალებს იზიარებდნენ Facebook-ზე, YouTube-სა და Instagram-ზე ის მომხმარებლები, რომლებსაც ასობით და ათასობით გამომწერი ჰყავთ. შესაბამისად, ამ კამპანიამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

*რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს თეორიები?*

2014 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მობილური ტელეფონის მოხმარებით ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი დამტკიცებული არ არის. თუმცა ჯანმომ კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად "შესაძლო კანცეროგენების" კატეგორიაში შეიყვანა ყველა რადიოსიხშირული გამოსხივება. მათ შორის არის მობილური სიგნალი. მაგრამ საინტერესო ფაქტია ის, რომ ამ ჩამონათვალში დამარინადებული ბოსტნეული და ტალკიც შედის. ამავდროულად, ალკოჰოლი და გადამუშავებული ხორცი პოტენციურად უფრო საშიშ კატეგორიაში მოხვდა.

ზოგადად, მეცნიერები და რეგულატორები მიიჩნევენ, რომ 5G სიხშირე, წინა სტანდარტების მსგავსად, ადამიანებისთვის უსაფრთხოა. გარდა ამისა, ახალი კორონავირუსი გავრცელდა ბევრ ისეთ ქვეყანაში, სადაც 5G ქსელი ჯერ კიდევ არ არის. მათ შორის არის ირანი.

შეთქმულების თეორია იმის შესახებ, რომ 5G ახალი კორონავირუსის გავრცელებას ხელს უწყობს, სამეცნიერო საზოგადოებამ მკაცრად გააკრიტიკა. რიდინგის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა (მოლეკულური ბიოლოგიის დარგში) საიმონ კლარკმა, ამ მოსაზრებას „სრული სისულელე“ და ბიოლოგიურად შეუძლებელი რამ უწოდა. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის სამედიცინო დირექტორმა სტივენ პოვისმა კი შეთქმულების თეორიები „გაყალბებული ახალი ამბების ყველაზე ცუდ ვერსიად“ შეაფასა.

„იდეა, რომ 5G თქვენს იმუნურ სისტემას აზიანებს, კრიტიკას ვერ უძლებს“, – აცხადებს პროფესორი კლარკი. მისი განმარტებით, ადამიანის იმუნური სისტემის დასუსტება ძალიან ბევრ რამეს შეუძლია. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს გადაღლა ან კვების არასწორი რეჟიმი. ამას, შესაძლოა, დრამატული შედეგი სულაც არ მოჰყვეს, მაგრამ ვირუსებით უფრო ადვილად დაინფიცირდეთ.

მეცნიერის განმარტებით, ძალიან ძლიერ რადიოტალღებს ნამდვილად შეუძლია ორგანიზმი გაახუროს, მაგრამ 5G ნამდვილად არ არის იმ სიძლიერის, რომ ადამიანის სხეულში რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის გამომწვევი სიმხურვალე წარმოქმნას. „რადიოტალღებს თქვენი ფიზიოლოგიის დარღვევა შეუძლია, რადგან ისინი თქვენ გახურებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს იმუნურ სისტემას ფუნქციონირება არ შეუძლია. მაგრამ 5G-ის რადიოტალღები იმდენად მცირეა და არ არის საიმისოდ ძლიერი, რომ თქვენს იმუნურ სისტემაზე გავლენა იქონიოს. ამაზე ძალიან ბევრი კვლევა არსებობს“, – აცხადებს კლარკი.

5G-ისა და სხვა მობილური ტელეფონის ტექნოლოგიაში გამოყენებული რადიოტალღები ელექტრომაგნიტური სპექტრის დაბალ სიხშირეს განეკუთვნებიან. ისინი გაცილებით სუსტია, ვიდრე ხილული შუქი, ამიტომაც მათ უჯრედების დაზიანება არ შეუძლიათ იმ მაღალი სპექტრის გამოსხივებისგან განსხვავებით, რომელსაც მზის სხივები და სამედიცინო რენტგენი შეიცავს. 5G ტექნოლოგიით ვირუსის გავრცელებაც შეუძლებლად მიაჩნია ბრისტოლის უნივერსიტეტის პედიატრიის პროფესორს ადამ ფინს.

"ახლანდელი ეპიდემია გამოწვეულია ვირუსით, რომელიც ერთი ინფიცირებული ადამიანიდან მეორეს გადაეცემა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სიმართლეა. ჩვენ გვაქვს ჩვენს ლაბორატორიაში გამოზრდილი ვირუსიც, რომელიც ამა თუ იმ ავადმყოფობის მქონე პირისგან მივიღეთ. ვირუსები, ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებიც მობილურ ტელეფონებს ქმნიან და ინტერნეტ-კავშირის ფუნქციონირება სხვადასხვა რამ არის. ისევე განსხვავებული, როგორც ცარცი და ყველი", - აცხადებს პროფესორი ფინი.

*როგორ და რატომ ვრცელდება დეზინფორმაცია ასე სწრაფად?*

ზოგადად, ეპიდემიის პირობებში დეზინფორმაციის გავრცელება და შეთქმულების თეორიებისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით მძაფრდება. ამის მიზეზი არის ის, რომ ადამიანები ცდილობენ თავი სანდო ინფორმაციის მქონე წყაროდ წარმოაჩინონ და გარკვეული ინტერპრეტაციები აკეთონ. ზოგისთვის ეს „ჰობი" სულაც არ არის, ამით ამ ადამიანების კატეგორია ფულს გამოიმუშავებს.

მეცნიერებისა და ფსიქოლოგების განმარტებით, ადამიანი, რომელსაც ერთი შეთქმულების თეორიის სჯერა, მეორესაც ადვილად ირწმუნებს. ეს ასე მოხდება მაშინაც კი, თუ პირველ შემთხვევაში კონსპირაცია არ დადასტურდა. სპეციალიტები ამბობენ, რომ რეცესიის დროს, რაც პანდემიის შემდეგ გარდაუვალია, ასევე გაურკვევლობისა და მძიმე სოციალურ ფონზე, შეთქმულების თეორიების რაოდენობა და გავრცელება მხოლოდ და მხოლოდ გაიზრდება. ეს გავლენა საგრძნობი გახდება არა მხოლოდ სკეპტიკოსების შემთხვევაში, არამედ ზოგადად პოლიტიკურ დღის წესრიგზე იმოქმედებს. მეცნიერები განმარტავენ, რომ სწორედ ასე მოხდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, როდესაც შეთქმულების თეორიები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და შეინიშნებოდა პოპულისტი პოლიტიკოსების განსაკუთრებული მომძლავრება, რომლებიც ძალიან ხშირად კონსპირაციულ მოსაზრებებს სათავისოდ იყენებენ.

წყარო:

## რა ვიცით კორონავირუსის წარმოშობის შესახებ

- ვირუსი ბიოლოგიური იარაღია და ლაბორატორიაში ხელოვნულად შექმნეს;
- ახალი კორონავირუსის წარმოშობა დაკავშირებულია 5G ანტენების დადგმასთან;
- Covid -19 ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩინეთში განზრახ შეიტანეს;
- ახალი კორონავირუსის გავრცელების წყარო გველია

ყველა ეს თეორია სპეკულაციაა. ამ ეტაპზე არც მეცნიერულად და არც ლაბორატორიულად არ დასტურდება, რომ COVID-19 ჩინეთის ან ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე ლაბორატორიაში შექმნეს. მეცნიერები, რომლებიც ახალი კორონავირუსის წარმოშობას იკვლევენ, ამბობენ რომ ვირუსი არ არის გენერირებული ადამიანებისგან და ის ბუნებრივი პროცესების შედეგად ჩამოყალიბებული მიკროორგანიზმია.



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ერთ-ერთ ანგარიშში ამბობს, რომ: "COVID-19 არის ზოონოზური წარმოშობის ვირუსი. ფილოფენეტიკური (ბიოლოგიური დარგი, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ორგანიზმების ევოლუციის პროცესს) ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ვირუსის რეზერვუარი არის ღამურა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი მათი შუალედური გადამტანი". ზოონოზური კი, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) განმარტებით, ისეთი დაავადებაა, რომელიც შესაძლებელი გავრცელდეს ცხოველიდან ადამიანზე და ის იყოს მისიპირველწყარო.

New England Journal of Medicine-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშიც საუბარია იმაზე, რომ ვირუსის პირველწყარო სავარაუდოდ ღამურაა, ვინაიდან კორონავირუსის რნმ-ის თანმიმდევრობა ჰგავს სწორედ იმ ვირუსების დნმ-ის მასალას, რაც ღამურებში ცირკულირებს.

ამერიკულმა სამეცნიერო გამოცემამ Nature medicine -მა, რომელიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, გამოაქვეყნა კვლევა, რომელშიც ნათქვამია რომ თეორია SARS-COV-2 ლაბორატორიაში მანიპულაციის შედეგად წარმოშობაზე სარწმუნო არ არის. ახალი კორონავირუსის შესახებ ამ კონსპირაციულ თეორიებს უსაფუძვლოს უწოდებენ ქართველიეპიდემიოლოგებიც.

"მესმის, ეს არის შეთქმულების თეორიები. მე მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით ვმსჯელობ. მეცნიერული ფაქტი არის ერთი – შესწავლილია, ვირუსის სიკვენსი გაკეთებულია, ანუ ამ ვირუსის თანმიმდევრობა გაშიფრულია. დადგენილია, რა სიხშირით ხდება იქ მუტაციები. ეს გამოაქვეყნეს ამ დარგში მსოფლიოში წამყვანმა მოლეკულურმა ბიოლოგებმა, რომლებიც ამ მეცნიერებაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები არიან. მათ სიტყვას ყველაზე დიდი ფასი აქვს. ეს ვირუსი, სადღაც ოქტომბრის ბოლოს – ნოემბერში წარმოიქმნა. ესეც გამოთვლილია და ამ სიკვენსირების საშუალებით დადგენილია, რომ ეს არის ბუნებრივად მოხდენილი მუტაციები", - განაცხადა დაავადებათა კონკტროლისა და საზოგადოებრივის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ ტელეკომპანია "იმედის" ეთერში.

## 5g ანძებთან ბრძოლა

ვიდეო რეპორტაჟი ევროპაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს ადამიანების მიერ 5g ინტერნეტ ანძების ცეცხლის წაკიდების ფაქტებს იმ საფუძლით, რომ ამ ანძებს რაღაც კავშირი აქვთ კოვიდ ვირუსთან და საშიშროებას წარმოადგენენ.

რეპორტაჟი, რომელშიც ასახულია შემთხვევა საკომუნიკაციო ანძაზე მომუშავე ორ ადამიანს მოქალაქემ ცეცხლი გაუხსნა იმის გამო, რომ მას ეშინოდა ამ ანძიდან წამოსული სიგნალების და მიიჩნევდა საფრთხის შემცველად.

## ბერლინის პოლიციამ COVID19-თან დაკავშირებული შეზღუდვების საწინააღმდეგო აქცია დაშალა

ფოტო: Reuters

ბერლინის პოლიციამ COVID19-თან დაკავშირებული შეზღუდვების საწინააღმდეგო აქცია დაშალა. Reuters-ის ცნობით, ამის შესახებ ბერლინის პოლიციის განმარტება Twitter გვერდზე გავრცელდა.

ეს გადაწყვეტილება პოლიციამ მას შემდეგ მიიღო, რაც მსვლელობის მონაწილეებმა ვერ გაითვალისწინეს სამართალდამცველთა ბრძანება დისტანციის შენარჩუნებისა და ნიღბების ტარების შესახებ.

„სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. აქამდე მიღებულმა ყველა ღონისძიებამ პირობები ვერ დაიცვა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პოლიციის პრესსპიკერის თქმით, პროტესტის მონაწილეები მშვიდობიანად იშლებიან, თუმცა პოლიცია გზების ბლოკირების შესახებაც იუწყებოდა.

ბერლინში ხელისუფლებამ ეს აქცია აკრძალა, თუმცა სასამართლომ ორგანიზატორებს COVID19-თან დაკავშირებული შეზღუდვების საწინააღმდეგო პროტესტის უფლება მისცა. უსაფრთხოებას 3000 პოლიციელი იცავდა, რადგან სამართალდამცველები ვითარების დაძაბვას ელოდნენ. ხელისუფლებამ აქციის მონაწილეები გააფრთხილა, რომ აქციას დაშლიდნენ, თუ ისინი წესრიგს არ დაიცავდნენ.

წყარო:🔗

## გერმანიის ქალაქ შტუტგარდში საკარანტინო ზომების წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა

გამოქვეყნდა: 9 აგვ, 13:05

გერმანიის ქალაქ შტუტგარდში 8 აგვისტოს მოქალაქეებმა კორონავირუსის გამო დაწესებული საკარანტინე ზომები გააპროტესტეს. საპროტესტო აქციას ათასობით ადამიანი შეუერთდა და ხელისუფლება მოქალაქეების უფლებების დარღვევაში დაადანაშულა. აქციის მონაწილეები მარიას მოედანზე შეიკრიბნენ და ქალაქის ცენტრისკენ მსვლელობა მოეწყო.

აქციის ორგანიზატორების თქმით, საპროტსტო ტალღა არ შეწყდება, სანამ მთავრობა საკარანტინო ზომებს არ გააუქმებს.

პირველი აქცია საკარანტინო შეზღუდვების წინააღმდეგ ბერლინში 1 აგვისტოს გაიმართა. ქუჩაში ათობით ათასი ადამიანი გამოვიდა. დღის ბოლოს პოლიციამ აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო, რადგან დემონსტრანტებს არ ეკეთათ პირბადეები და არც სოციალურ დისტანციას იცავდნენ. აქციის დაშლის დროს 45 სამართალდამცველი დაზარალდა, დააკავეს სულ 133 ადამიანი.

წყარო:🔗